წელიწადი მესამე — ფასი 7 კაპ. — კვირა, 2 აპრილი, 1917 წ.

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

ტელეფონი 15—73

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი [illegible] რდზე პეტიტით [illegible] ქნელზე—20 კ., [illegible] ლებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ელირ. მეტი.
დამატებითი № ღირს უცილვებ 10 კაპ.

№ 73 — ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი — № 73

# გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს თავისუფალ რუსეთში

## გონიერებასა და სინდისში ჩავარდით!

ჩვენებური სოციალ-დემოკრატია თავის კანში ვერ ეტევა. ამგვარსავე მდგომარეობაში იმყოფებიან მუშათა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებიც, რომელნიც ნამდვილ სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციებს წარმოადგენენ, ვერ ინელებენ სხვების არსებობას, სხვა პარტიათა მოქმედებას; ყოველის საშუალებით იბრძვიან მათ წინააღმდეგ; არ ერიდებიან ძალმომრეობას, არ ერიდებიან ცილის წამებას. ორივე იარაღი ნაცადი აქვსთ ჯერ კიდევ ცხრაას ხუთსა და ექვსში. ფედერალისტების გაზეთი ერთი შეჩერება ხომ მათ შეაჩერეს. ეს იყო პირველი ცენზურა ამ თავისუფლების და რევოლიუციის პარტიისა! ჩვეულებრივი მოვლენა იყო ტრიბუნიდან მოწინააღმდეგე ორატორების ჩამოგდება. ხშირი იყო მათ წინააღმდეგ ხანჯლისა და რევოლვერის ძრობა, გაიხსენეთ, სოხუმი, წალენჯიხა და სხვა. ცილისწამება, რომ ავტონომია ბატონყმობის აღდგენას მოასწავებდა და საქართველოში მოსახლე არა ქართველ ერების დევნა-შევიწროვება,—რჩეულ იარაღად იყო მიჩნეული მოპირდაპირის დასამარცხებლად. ამ გზით და ასეთის იარაღებით ებრძოდა სოციალ-დემოკრატია საქართველოს ავტონომიას, მაშასადამე, საქართველოს თავისუფლების იდეას.

ვიცოდით, რომ ჩვენებური სოციალ-დემოკრატია, რომელიც ჯერ კიდევ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სახელს ატარებს და რომელსაც აქამდის ერთჯელაც არ უხსენებია თავის გაზეთებში სიტყვა საქართველო და საქართველოს თავისუფლება, დღესაც იმ პარტიების შეურიგებელი მტერი იქნებოდა, რომელნიც სამშობლოს იდეას ემსახურებიან და პირველ ყოვლისა საქართველოს ავტონომიისათვის იბრძვიან.

ვიცოდით, რომ სოციალ-დემოკრატია, რომელიც „ქართველებო, შეერთდითის“ მაგიერ „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდითო“, გაიძახის, დღესაც მძაფრი მტერი იქნებოდა იმ პარტიებისა, რომელნიც ქართველობის გაერთიანებას მოითხოვენ სამშობლო იდეის გარშემო.

ვიცოდით, რომ პარტია, რომელსაც არ სწამს ეროვნული ძალების მობილიზაცია და ეროვნული ორგანიზაცია სამშობლოს უფლების აღსადგენათ, საქართველოს ავტონომიის მოსაპოებლად, დღესაც მტრულად შეეგებებოდა ყოველ ამგვარ ცდას. ვიცოდით ეს, მაგრამ მაინც არ გვეგონა, თუ სოციალ-დემოკრატია ძველს ხერხსა და იარაღებს მიმართავდა. ვფიქრობდით, რომ ბრძოლას კულტურული ხასიათი მიეცემოდა, რომ პროგრამის დებულებანი, რომ საკამათო ცნებანი ლოიალურად განმარტებული იქნებოდნენ, რომ ცილისწამებას დაერიდებოდნენ და ძალმომრეობაზე ხელს აიღებდნენ, რომ პარტიის გამარჯვება თუ დამარცხება, სხვა თანაბარ პირობებში, მარტოდ-მარტო მის პროგრამის ორგანიულ ბუნებაზე იქნებოდა დამოკიდებული. ასე ვფიქრობდით, მაგრამ მოვსტყუვდით! სოციალ-დემოკრატიამ ძალა იგრძნო და იგი დღეს თავის კანში ვერ ეტევა. დიქტატორულმა გულთა ზრახვამ შეიპყრო მისი არსება. ყოველს მის საქმესა და სიტყვას ბატონობის სურვილი განაგებს, ბატონობის ბეჭედი აზის. სხვისი არ ცნობა, სხვისი გაბათილება—აი დღევანდელი მისი ავადმყოფობა. და რომ სხვის გაბათილებას მიაღწიოს, ნაცად საშუალებას მიატანა. ავტონომია რუსეთიდან ჩამოშორებაა, ავტონომია—საქართველოდან რუსებისა და სომხების გაძევებაა და მათი ქონების გატაცება, ავტონომია ბატონ-ყმობაა და სხვა და სხვა! ქუთაისში უშიშრად ვერ გაივლი, თუ ავტონომია ახსენე. ჯარისკაცები ან გაგლახავენ, ან ციხეში ჩაგამწყვდევენ. ამ ნიადაგზე ერთი რეალური სასწავლებლის შეგირდი სასიკვდილოდ გალახეს. ქუთაისში ქართველმა ჯარისკაცებმა გაიტაცეს და გასთელეს ფედერალისტების დროშა, რომელზედაც ეწერა, გაუმარჯოს საქართველოს ავტონომიასო! პირველი მაგალითია, რომ ქართველი ჯარისკაცი ჰთელავდეს და შეურაცხებდეს დროშას, რომელიც სამშობლოს თავისუფლების სიმბოლოდ არის ამართული! იქნებ გვითხრან: რა შუაშია აქ სოციალ-დემოკრატიაო? მაშ ვისი ბრალია?

ავტონომიის სახელის გატეხვასა და მის დროშის უპატივცემულობაში საზოგადოებას ხომ იმათი სიტყვა და ლიტერატურა ვერ აზრდიდა, ვინც საქართველოს ავტონომიისათვის იბრძვის და საქართველოს თავისუფლების დამყარებისადმი სასოებით ივსება. მთელი ქართველობა, რომელიც თქვენი პარტიის გარეშე სდგას, ამ საქმეში ბრალსა თქვენ გდებსთ და თუ ეს თქვენი საქმე არ არის, გამოდით და თქვენი გაზეთის ფურცელზე **საჯაროთ აღიარეთ, რომ ავტონომია რუსეთისაგან ჩამოშორებას არ ნიშნავს, რომ ავტონომია სომხებისა და სხვების გაძევებას არ ნიშნავს და არც მათ ქონების გატაცებას, რომ ავტონომია ბატონყმობა არ არის, რომ ავტონომიის მომხრენი დემოკრატიულ რესპუბლიკას მოითხოვენ ავტონომიურს საქართველოში. დასწერეთ ეს თქვენი გაზეთების ფურცელზე, დაჰგმეთ გავრცელებული ცილისწამებანი. აუხსენით თქვენს მკითხველებს, რომ თქვენ ავტონომიას იმიტომ კი არ ებრძვით, რომ იგი ან ბატონყმობას ნიშნავდეს ან ჩამოშორებას და სხვა რასმე, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ ამგვარ პრინციპს არ იზიარებთ ქართველი ერის ცხოვრების მოსაწყობათ.** ამით თქვენ თქვენს ვალს მოიხდით და დღემდის სამართლიან ბრალდებასაც. ამ გვარ წერილების შემდეგ, თავიდან აიშორებთ.

დღემდის ძველი მთავრობა ნებას არ გვაძლევდა მისი მოქმედება თავისუფლად გაგვერჩია და პირუთვნელი მსჯავრი დაგვედო. პირი აკრული გვქონდა და პრესა ალაგმული იყო. დღეს ამ როლში აქაური სოციალ-დემოკრატია და მუშათა დეპუტატების საბჭო გამოდის. ბედავენ აღგვიკრძალონ ჩვენი აზრის გამოთქმა მათზე! ქუთაისში გაზეთი „სამშობლო“ შეაჩერეს და მერე ბოდიში მოახდევინეს და ხელ-ახლავ გამოაცემინეს. გუშინ წინ ჩვენ მოგვივიდა ოფიციალი ქაღალდი 194 ნომრით, მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტისაგან. გვემუქრებიან გაზეთის დაკეტვას, თუ ისეთი წერილი დაიბეჭდება, რომელიც მუშათა დეპუტატების საბჭოს არ მოეწონება.

ჯერ გვინდა გავიგოთ, მთავრობის დანიშნულებას ვინ ასრულებს? ახალ მთავრობისგან პეტროგრადიდან გამოგზავნილი კომისარიატი, თუ თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭო? არის რაიმე წესიერება, თუ საქმე ძალადობაზეა და ანარქიულ მოქმედებაზეა? ჩვენ ამ უკანასკნელის წინააღმდეგი ვართ,—მაგრამ თუ ამ წესით შეგვებრძოლებიან, ჩვენგანაც ღირსეულ პასუხს მიიღებენ. ხოლო, თუ მთავრობა არის და თუ მთავრობას მუშათა დეპუტატების საბჭო წარმოადგენს და არა პეტროგრადიდან დანიშნული კომისარიატი, მუშათა დეპუტატების საბჭომ ჯერ ეს შეგვატყობინოს ოფიციალის და დანომრილის ქაღალდით და შემდეგ ამისა მოვითხოვთ მისგან, როგორც მთავრობისგან, რომელსაც პრესის კრიტიკის ეშინიან, **წინასწარი ცენზურა დააწესოს ჩვენს გაზეთსა და ყველა იმ გამოცემაზე, რომელიც მას ჰკუაში არ დაუჯდება.** დაე, ჩვენი გაზეთი დაფანჯრული გამოვიდეს, თეთრის ადგილებით, როგორც ეს ძველი მთავრობის დროს იყო! ხსენებული გაფრთხილების ქაღალდი იმით იწყება, რომ „საქართველოს“ რედაქციას არა ერთხელ გაულაშქრნია მუშათა დეპუტატების საბჭოს მოქმედებისა და დადგენილებათა წინააღმდეგ და ამის გამო საბჭო გულისწყრომას გამოსთქვამს. როგორ? მუშათა დეპუტატების საბჭო ვინ ბრძანდება, რომ მის მოქმედების და დადგენილების გარჩევა არ შეიძლებოდეს, ან და გალაშქრება, უკეთუ მისი დადგენილება შეუსაბამო გამოდგება? ვინაა დაზღვეული შეცდომისაგან? ვინ არის შეუმცდარი ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში? ყველაზე ნაკლებ ეს მუშათა დეპუტატების საბჭოა, სადაც უმეტესად მხოლოდ ცალმხრივათ მოაზროვნე და პარტიული ფანატიზმით გამსჭვალული მუშები და გასულ სექტემბერში კურს დამთავრებული ახალგაზდა სტუდენტები სხედან!

როგორ? ეს მართვა-გამგეობის საქმეში გაუჩვევი ხალხი, რომელიც მარტო ქალაქის შერეულ ეროვნების მუშებისაგან არის არჩეული და რომელიც ცდილობს თვისი გავლენა და დადგენილება ორ მილიონ ქართველ გლეხზეც გაავრცელოს, პრესის კრიტიკის გარეშე უნდა იდგეს? ნურას უკაცრავად. გაზეთის დაკეტვა კი არა, ენის ამოგლეჯაც რომ გველოდეს, ამ კრიტიკაზე ხელს ვერ ავიღებთ. ჩვენი მოქალაქობრივი მოვალეობა ჩვენ ასე გვესმის.

ჩვენი ხელმძღვანელი იდეა არის რევოლიუციის გამაგრება და ეროვნული თავისუფლებისათვის ჩვენი სამშობლოს დარაზმვა და ყოველ ჩვენს წერილს ან სხვებთან თანამშრომლობის იდეას ხელმძღვანელობს, ან კიდევ გაფრთხილება, რომ სოფლად არ განმეორდეს ცხრაას ხუთის ამბები: რბევა-ტაცობა.

თავის საქციელის გასამართავად მუშათა დეპუტატების საბჭო და სოციალ-დემოკრატია აქაც ნაცად საშუალებას მიმართავს: ცილისწამებას. ვინ ჭკუათმყოფელი, ვინ თვალხილული დაგიჯერებთ, რომ ჩვენ კონტრრევოლიუციონერები ვიყვნეთ, რევოლიუციას და ახალ მთავრობას ვებრძოდეთ! იქნებ ძველი მთავრობისა და რეჟიმის აღდგენა გვენატრებოდეს, იმ რეჟიმისა, როდესაც ჩვენი სამშობლოს უფლება უდიერად ითელებოდა?! სირცხვილი, რომ ენა თქვენი იძვრის ამის სათქმელად! ნუ თუ არ გესმით რა ცეცხლის წაკიდება და ჯოჯოხეთის დატრიალება შეუძლიან ამ ცილისწამებას, რომ მან გასჭრას და აქ მყოფი რუსის ჯარი შეუდგეს ამის თანახმად მოქმედებას. თუ ბნელი ინსტიქტი ამ ცილისწამების წყალობით შურის საძიებლად დაიძრა, ვინ ან რა შეაყენებს მას? ვინც ხელში მოხვდება, ყველა მისი მსხვერპლი გახდება, სულ ერთია ნაციონალ-დემოკრატი იქნება იგი, ფედერალისტი, თუ სოციალ-დემოკრატი. ამ ცილისწამებით, ღმერთმა ნუ ჰქნას, თორემ დაიღუპება არა ერთი პარტია, არამედ მთელი სამშობლო. ნუ თუ სამშობლოს წინაშე პასუხისმგების გრძნობამ არ უნდა აგაღებინოთ ხელი ამ ყოვლად აღმაშფოთარ იარაღზე, რომელიც პარტიული ბატონობის განსამტკიცებლად არის გამოგონილი?! ჯერ კიდევ დროა. გონიერებასა და სინდისში ჩავარდით!

## აღდგომა

გახსოვთ ერუნტელის მომგვრელი სურათი „ღალატში“, როდესაც აღდგომის შუა ღამისას სიონის ზარმა „მხოლოდ ერთხელ“ სევდიანად ჩამოჰკრა და ამცნო აწიოკებულ საქართველოს „სიკვდილითა სიკვდილის“ დათრგუნვა“?

აუარებელი მრისხანე მტერი რკინის რკალივით ირგვლივ შემორტყმოდა ჩვენს ქვეყანას, თარეშობდა დაბასოფლებში, შიშის ზარსა სცემდა მცირე რიცხოვან ქართველობას, ლამობდა ივერიელთა სახელის აღმოფხვრას დედა-მიწის ზურგიდან!

ის იყო ჟამი გამოუთქმელ მწუხარებისა, იყო დრო, როდესაც სამშობლოს მომავალი ბეწვზე ეკიდია; არავის ეგონა, თუ ერთი მუჭა ხალხი—თუნდაც მამაცი და მამულისათვის თავდადებული—გადურჩებოდა მოზღვავებულ მტერს: საქართველოს აღორძინებაზე აღარავინ ფიქრობდა—იგი იღუპებოდა!

მაგრამ მტრებს არ გაუმართლდათ იმედი, საქართველო აღსდგა, შემოიკრიბა თვისი ერთგულნი და გაორკეცებულის ძალით შეუდგა სახელმწიფოს აშენებას.

შეუდარებელი სახელმწიფო ნიჭი და სიბრძნე უნდა გამოეჩინა ხალხს, რომ მიწასთან გასწორებული სამშობლო აეყვავებინა და მისი დამოუკიდებელი არსებობა ნორმალ კალაპოტში ჩაეყენებინა.

ქებასა და დიდებას დაიმსახურებს ერი, რომელიც მთელის თვისის ენერგიით ამოძრავდება და მსოფლიო ზღვის ტალღებში უზიანოდ გაატარებს მისთვის ჩაბარებულ ნავს. ქართველი ხალხი ხომ ჩვეულ იყო დაუნდობელ ტალღებთან ბრძოლას; დაწყნარებული ცხოვრების ზღვა მისთვის უნახავი მოვლენა იყო; მრავალ-საუკუნო ისტორიის სივრცეში მას არ ახსოვს მყუდრო ცხოვრება, იგი მუდამ ჟამს იბრძოდა, იგერიებდა კალიასებრ მოწოლილ მტრებს,—ქართვლის ხმალი არ ჩაგებია ქარქაშსა შინა!

წყვდიადით მოსილ არემარეში შორს ოდნავ მოსჩანდა მზის სხივი—მას უცქეროდა იმედის თვალით ქართველი ერი, მისგან მოელოდდა შველასა და ხსნას.

და, აი დაჰკრა აღდგომის ზარმა და აღუთქვა ტანჯულ ხალხს თავისუფალი ცხოვრება! უკანასკნელი, „მეცხრე ტალღა“ გადასთელა სახელოვანმა ხომალდმა და შესცურა სპეტაკ მზის სამეფოში.

ქრისტეს აღდგომის ხსოვნით ერი ეგებება თვის აღდგომის განთიადს! მას უბრუნდება სამკვიდრებელი, იკრებს წართმეულ სიმდიდრეს, კვლავ აღადგენს საქართველოს დიდებას და განამტკიცებს მას, რამეთუ თქმულ არს: ვინ უწყის, განვე—ამისთვის განშორა ჟამ ერთ, რათა საუკუნოდ მიიყუანო იგი (ფილ. I, 15).

**რ. ინგილო.**

## მსხვერპლშეწირვა

ერეკლე გმირია დღევანდელ დღისა, ლომივით იბრძვის, სჭედს და გრგვინავს, სამართებელივით მჭრელს ამის ხმას ცხვრის ფარასავე ემორჩილება აღელვებული ბრბო ხალხისა და მისდევს უკან: ანგრევს, აშენებს, ტირის, იცინის, ქერუბის მაგალითით გმირობას სჩადის, გზას ჰკაფავს გამარჯვებისას, ამტვრევს ბორკილებს. .

ერეკლემ იცის ფასი თავისის ძლიერებისა და უხვათ აწნევს, არ ზოგავს ძალას. დღე ღამეს სტეხავს, შეუსვენებლივ მირბის იქითკენ, სადაც მიიწვევს მოვალეობა. ძლიერის სიტყვით, შეუდრეკელის ნების-ყოფით ის იმორჩილებს, გმირებადა ხდის გუშინდელ მონებს, გულგატეხილთ, ჯაბანთა.

„სალდათთა ბანაკში არეულობაა, ჯარის კაცნი აფიცერთ მუსვრენ, საჩქაროთ მოდი“. ტელეგრამა აუწყებს ტრიბუნს და ისიც მიდის უსმელ-უჭმელი, დაღალულობით წელში მოხრილი, მაგრამ უდრეკი, მორჩილი მხოლოდ მოვალეობისა.

— ნუ წახვალ, მამა... მე გული მითქვამს, რომ იქ მოგელის ხიფათი მკაცრი... ჩვენ დავიღალეთ... აღარ ძალგვიძს შენი ყურება... კმარა ბრძოლა, სხვას გადაეცი ბრძანება შენი... ხვალ აღდგომაა... ჩვენ დაგვიბრუნდი!—ემუდარება ნუცა მამილოს და კალთას უჭერს.

— ნუ, ნუ წახვალ, ნუ წახვალ. დედაცა ტირის, ამბობს მოჰკვლენო.

მშვენიერია ირაკლის ნუცა. ხუჭუჭთმიანი, ცისფერ თვალება, ტანად შეყრილი თოთხმეტის წლისა უმანკოება—მამის სისუსტე, დედის დიდება და სიამაყე.

ერეკლეს უყვარს თავისი პირმშო, ნაპერწკალი სიყვარულისა და თავს ევლება იმისა გრძნობას, იმისსა ნებას ეს მძლავრი გმირი ემორჩილება...

მაგრამ დღეს უკუდგომა? ბალღის ხათრისთვის მოწოდებას ყური მოიყრუოს?!

— ეჰ! არა, არა! დრო შეფერხების ჯერ არ დამდგარა.—ნუცას დედა ჰყავს, ის დაამშვიდებს. მე კი... მე კი უნდა წავიდე, ხალხის დარაჯად ვარ არჩეული და ვარ რჩეული... მოწოდებული! სისუსტე ჩემგნით...

— მაშ მიხვალ, მიხვალ, არ დაგიშლია.

— რას ჩამაცივდით! რით ვერ გაიგეთ, მე დროს ვეკუთნი და არა პირებს,—როგორ არ გრცხვენის, რომ შენცა დრტვინავ—**სწორუფლებას** კი ეტანები. სასტიკათ უთხრა ერეკლემ ცოლსა—რევოლვერი ჯიბეში გაქვს?

— არა! მართლა, სულ დამავიწყდა. აბა მოიტა, კედელზედ არის ჩამოკიდული.

დედის მაგივრად ნუცა გაიქცა და წამის შემდეგ ოთახიდგან სროლა მოისმა და მასთან კვნესა გულის გამგმირი...

ერეკლე შეკრთა, კარებში შესდგა, თმა ეზბურძგნა, თვალთ დაუბნელდა.

— ოჰ! ნუ თუ ნუცამ... არა... არა... თავისუფლება ამგვარ შეწირვას არ დამავალებს.

— მტარვალო, კერპო! მოდი, ნახე, რა მოახდინე!

— ვხედავ... გაჩუმდი, არ შეაშინო... ბამბა ჩქარა, ტილოს ნაჭერი... ხომ ექიმი ვარ, კარგად შეუკრავ, გამობრუნდება, ნუ გეშინიან...

ერეკლე თრთოდა, ცოლს ამხნევებდა და გამჭრიახის თვალით მეომარს ჭრილობას ჰბანდა, უხვევდა შვილს, თვალებ დახუჭულს, ოდნავ მოღიმარს.

— აი, ხომ ხედავ, ნუცა დამშვიდდა. ტკბილად მიცინის... ექიმს მოუხმე. უნდა წავიდე... მეც მალე მოვალ... მოვალ... სულგრძელი იყავ... ერთის შეწირვა ათასისთვის და იდეისთვის!

**ეკ. გაბაშვილისა.**

## იხსენით ქრისტე!

ქრისტე აღსდგა!

აღსდგა ქრისტე თავისუფლებისა!

დღეს ყველა აღტაცებით ზეიმობს თავისუფლების აღდგომას.

დღეს პირველი დღესასწაულია, საგაზაფხულო.

თავისუფლების ყველა საყდრები ფართოთ გახსნილა, რომ გაშალონ გული ხალხისა.

დადგა წამი, ოდეს ყველას თავაწეულად შეუსლია მიულოცოს ერთმანეთს გამარჯვება თვისთა უფლებათა.

აღსდგა ქრისტე მოქალაქისა!

მაგრამ ჩემი ქრისტე...

მის ნათელს სხივს ჯერ კიდევ არ გაუნათებია ლოდინით აღვსილი გული მის ხალხისა...

მისი სამარე ჯერ კიდევ არ გახსნილა და მძიმე ლოდი, მთელი საუკუნე თავზედ რომ აწევს, ჯერ კიდევ არ მოუხსნიათ.

მზათ კი არის აღდგომისათვის!

მის წმინდა საფლავს მისნივე შვილნი, მის უარისმყოფელად რომ ქცეულან, სდარაჯობენ, რომ არ იშვას თავისუფლების მახარობელი.

ლოდის ამწევი ანგელოზნი კი არსად სჩანან.

აღმდგომის დღე კი უკვე დადგა!

ერი ელის მის ხილვას.

თავისს ქრისტეს, თავისს უფლებას.

და ეს უნდა მოხდეს!

ან დღეს, ან არასოდეს!

ვინც ელის მის ხსნას, ვინც განმზადდება მის შესახვედრათ, მესის სახელით უნდა განათლდეს!

ეს ვალია მამულიშვილთა!

ეს ხმაა ჯერ კიდევ წამებულ ქრისტესი—ხმა მრავალტანჯულის, მაგრამ მაინც ცოცხალის ერისა.

და ვის გულში საქართველო ჯერ სავსებით არ დამარხულა, უნდა აინთოს ამ ხმით.

და თუ მტკიცე იქნება პასუხი თქვენი, გამარჯვებაც თქვენი იქნება: მაშინ იშვება თქვენი ქრისტე—თქვენის ერის თავისუფლება!.

და საქართველოს ხამლოცველოში მხოლოთ მაშინ დაირეკება სააღდგომო ზარი—ზარი საქართველოს აღდგომისა.

მაჩვენეთ ჩემი ქრისტეს სახე და მეც მხოლოთ მაშინ ვიტყვი სრულიად საქართველოს ერთან ერთად:

ჭეშმარიტად აღსდგა!

ჯერ კი...

ჯერ ჩემთვის ქრისტე არ ამდგარა!

**ლელი ჯაფარიძე.**

## მკვეთრი სიტყვა

ყოველ ხანას აქვს თავისი მკვეთრი სიტყვა. იგი გადადის პირიდან პირზე, იგი იჭრება გონებაში, აღრმავებს ცნობიერებას და ბოლოს ყველა ადვილად ჰხედავს, რომ იგი ანათებ[illegible] ცხოვრების ყოველ მხარეს.

მაშინ ადვილათაც ჰხდება გა[illegible] ტა ყოველ საჭირბოროტო [illegible] რომელიც მომენტით და[illegible] მსვლელობით დაყენებუ[illegible] წინაშე.

ეხლა ასეთი მკვეთრ[illegible] ავტონომია.

ამ სიტყვას ბევრი [illegible] ამ სიტყვის ხსენებაზ[illegible]

მოსდიოდა, ზოგი პირიდან ცოფებსა ჰყრიდა, ზოგი შეგნებულად ებრძოდენ იმას, ზოგი ბრიყვულად და შეუგნებლად, ზოგი ამბობდა, რომ იგი ბატონყმობის აღდგენას ჰნიშნავსო, ზოგი კი—საქართველოდან უცხო ტომის განდევნასაო... ვინ იცის, რას არ იგონებდნენ, რა ჭორებს არ ავრცელებდნენ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყველამ კარგად და ნათლად დაინახა, რომ ავტონომია მხოლოდ უფლებრივი გამოხატულებაა ეროვნულ თავისუფლებისა.

როგორ?

თუ თავისუფლება არ არის მარტო ოცნება, თუ თავისუფლება რეალი ძალაა, რომელიც საოცნებო სფეროდან უნდა ჩამოვიდეს და ჩამოყალიბდეს ყოველ დღიურ ცხოვრებასა და განწყობილებაში, ეჭვი არ არის, ეს ჩამოყალიბება უნდა მოხდეს ყველგან, სადაც კი არის ცხოვრება და განწყობილება. მოკლედ რომ მოვსჭრათ, თავისუფალი უნდა იყოს არა მარტო ადამიანი, არამედ ერიც, არა მარტო ქართველი, არამედ საქართველოც. ეს ზოგადი აზრია, იმას საყოველთაო მნიშვნელობა აქვს.

რას ჰნიშნავს საქართველოს თავისუფლება?

საქართველოს უნდა ჰქონდეს თავისი კანონმდებლობა, თავისი მთავრობა, თავისი სამართალი, თავისი ხაზინა და ხარჯთ-აღრიცხვა... ესე იგი უნდა ჰქონდეს უფლებრივი ღონისძიება, რომ მოაწყოს თავის ცხოვრება და საურთიერთო განწყობილება ისე, როგორც თვითონ უნდა. აბა ვინ იქნება ისეთი ტუტუცი, რომ წინ აღუდგეს ამ მოთხოვნილებას?

ცხლახან ერთმა ბელადმა სოციალ-დემოკრატებისამ ილაპარაკა ამ საგანზე და, რასაკვირველია, გულწრფელად აღიარა, რომ ავტონომია ძვირფასია მუშა ხალხისათვისაო. მუშა ხალხს მაშინ ეძლევა სრული ღონისძიება თავის ენაზე დაიცვას თავის [illegible]. მეორემ უპასუხა—მარტო [illegible] ენაზე არ იქნება აქ ლაპარაკიო; მესამემ—თავი და თავი არის ამ ბორკილების აყრა, რომელიც ედო ეროვნულ შემოქმედებასაო... იყო გაცხარებული დავა. მე ყურს ვუგდებდი და სრულებით დავრწმუნდი, რომ ავტონომია ყველასთვის საყვარელი და საოცნებო გამხდარა. ორატორები ვერ ახერხებდნენ მხოლოდ სიტყვიერად განემარტებინათ თვით საფუძველი ამ სიყვარულისა. მომაგონდა ანეგდოტი: სამს ყმაწვილ კაცს შეუყვარდათ ერთი ქალი, რომელსაც მათ შეეკითხნეს: „ყმაწვილებო, რა ჰნახეთ ამ ქალში, რა შეგიყვარდათ მასშიო?“ — ერთმა უპასუხა: „ოჰ, რომ იცოდეთ, რა მშვენიერი თითები აქვსო! სწორედ რომ თლილი მარმარილოაო!“

მეორემ: „არა, თქვენ თმები უნდა ჰნახოთ, თმები, როცა იგი მის მშვენიერს თავსა ჰკრავს, ვით საოცნებო მუზარადიო“!

მესამე გაბრაზდა: „როგორ იქნება ან თითებზე, ან თმებზე ლაპარაკიო! როგორ იქნება კაცმა დაივიწყოს მისი თვალები, თვალები, კაცო! იგი სავსეა შუქით, ვით მზიანი ცის კამარა, იგი ზღვაა ნეტარების, იგი...“

დღეს სწორედ ამ ლამაზ ქალის ყოფაშია ავტონომია. იგი უკვე ყველას მოსწონს, ყველას უყვარს, თუმცა ჯერ ყველას არა აქვს ცხადად გარკვეული საფუძველი ამ სიყვარულისა. ზოგს მასში მოსწონს სამშობლო ენა, ზოგსა ტერიტორიის დაცვა, ზოგსა ეროვნული შემოქმედება, მაგრამ ხშირად ყველას ავიწყდება, რომ სულ ეს სხვა და სხვა ფერი, სასურველ და სანატრელი ღირსება, ეკუთვნის ერთ და იმავე არსებას, ერთ და იმავე იდეას—ავტონომიას. ავტონომია არის ეროვნული თავისუფლება, მაშასადამე, ისეთი მზე, რომლის სხივოსნობა და შემოქმედებითი ძლიერება დაუთვლელია და განუსაზღვრელი.

ავტონომია—აი ის მკვეთრი სიტყვა, რომელიც ეხლა ელვასავით გადადის მთელს საქართველოზე და აუცილებლად მოაქცევს თავის ცეცხლის ოკალებში ყოველ მამულიშვილს.

აბა ვნახოთ, ვინ აღუდგება იმას წინ?!

**გიორგი გვაზავა.**

## ქართველი ერის პატრიარქს

[illegible] მოვაგონო ქართველ ერის მთავრობას, რომ ისინი ქართველმა სრული იმედით, აღჭურვა თვისი ნდობა [illegible] ჩვენია. [illegible] საზოგადო ასპარეზზე, თავ[illegible]დომილი და თვისს წარმომადგ[illegible] [illegible] სახელმწიფო სა[illegible] პარლამენტო დაწესებუ[illegible]

[illegible] ერმა ამ თვისს წარმოდგენა[illegible]: ამოუდექით

გვერდში დიდი რუსეთის ერთა თავისუფლებისათვის მებრძოლთ, მათთან ერთად ხელიხელ ჩაკიდებული ებრძოდეთ მტრებს და დიდი რუსეთის ერთა ინტერესებთან დაიცავით კერძო ჩვენი ინტერესიც, რომ რუსეთის სხვა ერთა შორის ჩვენ ქართველებმაც მოვიპოვოთ უფლება და თავისუფლება, რომელიც უმართებულოდ წაგვართვესო. გულის ფანცქალით შეჰყურებდა ქართველი ერი იმ სანატრელ დროს, როდესაც თავისუფლად ამოსუნთქვა შესაძლებელი იქნებოდა.

ახლა დადგა კიდეც ეს სანატრელი დრო ძველ მთავრობის დამხობით, რასაც შეხარის და შესტრფიალებს დიდი რუსეთის ეროვნება.

ყველა დიდი რუსეთის ქვეშევრდომი მოელის საერთო თავისუფლებასთან კერძო თავისუფლებასაც, იმის მიხედვით, თუ ვის რას აკუთვნებს განახლებულ მთავრობის კანონები. სხვა ერთა შორის ქართველმა ერმაც თვისი კანონიერი ეროვნული თავისუფლება უნდა მოითხოვოს და მთავრობამაც დააკმაყოფილოს, როგორც შესძლოს.

მხოლოდ თვით ქართველი მეთაურები ხელს უშლიან ქართველის კანონიერ მოთხოვნილებას და ბრძანებენ: კერძო თავისუფლების—ავტონომიის მოთხოვნა ავნებს საერთო საქმესო. ხაკვირველია, რაღა ქართველი ერის უფლების აღდგენა ავნებს საერთო საქმეს და არა სხვა ერებისა! ახალმა მთავრობამ ფინელებს სრული კონსტიტუცია მისცა: ლატიშების, ესტონელების, ლიტველების, უკრაინელების და სხვა ეროვნების თხოვნა თუ არ უშლის ხელს რუსეთის რევოლიუციას, ქართველების თხოვნამ როგორ უნდა შეუშალოს ხელი, ვერ გაგვიგია.

სრულიად უსაფუძვლოდ აშინებს ჩვენს მეთაურებს ქართველი ერის თავისუფლების—ავტონომიის ხსენება.

თავისთავად ყველა ადამიანი ეროვნული ანუ ნაციონალური მიმართულებისაა, მხოლოდ ზოგი ზომიერია და ზოგი უკიდურესი და ზოგი ფერის გამოსაცვლელად პარტიულ ტყავში ეხვევა.

განათლებულ ევროპიელიდან დაწყებული კაცის ჭამია ველურამდე იშვიათად მოიპოვება არა ნაციონალისტი. რისთვის იბრძვის და სისხლს რისთვისა ღვრის განათლებული ევროპა? გერმანელნი თვისს ინტერესს იცავენ თუ თათრებისას?

აბა, შეახეთ ხელი ველურის საკუთრებას და ნახავთ, თუ არ შეგაკვდესთ!

ვისაც თვისი არ უყვარს, ის სხვას ვერ შეიყვარებს.

ადამიანი უნდა ებრძოდეს საერთო სენსაც და კერძოსაც. ძველი მთავრობა საერთო სენი იყო, რომელიც მუსრავდა ქვეშევრდომთა და ამის წინააღმდეგ საბრძოლველად ყველა ეროვნებათა შეერთებული ძალა იყო საჭირო. მაგრამ გარდა ამ საერთო სენისა, თითოეულ ეროვნებას აქვს კერძო სენიც, რომლის წინააღმდეგაც ბრძოლაა საჭირო, რომ საერთო და კერძო სენებისაგან განთავისუფლებული და განახლებული ერები მტკიცედ შეკავშირდნენ და საერთო ძალით სამუდამოდ მოსპონ მტარვალობა.

ვერცერთ ერს ვერ დააკმაყოფილებს მარტო საერთო ბედნიერება, თუ კერძოდ თვითონ მას პირობები ხელს არ უწყობს ბედნიერ ცხოვრებისათვის. შესაძლოა, საერთო ბედნიერება არსებობდეს, მაგრამ ესა თუ ის ერი ბედნიერებას მოკლებული იყოს. ამიტომაც ყველა ქვეშევრდომი დიდის რუსეთისა შეერთებულის ძალით თავგამოდებით უნდა იბრძოდეს საერთო ბედნიერების მოსაპოვებლად, მაგრამ კერძო ბედნიერებისაკენაც უნდა მიისწრაფოდეს, რომ რომელიმე ერი დაუკმაყოფილებელი არ დარჩეს.

როგორც დიდი რუსეთის ყველა ერები, ისე ქართველებიც ის აღარ არიან, რაც 1905 წელში იყვნენ.

ქართველ ერს ახლა კარგად აქვს შეგნებული, რომ მისთვის საერთო თავისუფლებასთან აუცილებლივ საჭიროა კერძო თავისუფლებაც: ენის, ეროვნების, მართველობის, შენარჩუნება თვისი ტერიტორიის და აღდგენა დაკარგულის, თავისუფლება სინიდისის და სხვა... ესე იგი, ტერიტორიალური ავტონომია და თავისუფალი ეკლესია.

ქართველ ერს რუსეთთან შეერთებიდან დღემდე არც ავტონომიური და არც ავტოკეფალური თავისუფლება არ ჰქონია და ყოველი მისი პირადი ღირსება გათელილი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქართველები მხარში ედგნენ დიდ რუსეთის ხალხს, თავგამოდებით ებრძოდნენ მის მტრებს და და სწირავდნენ თვისს სიცოცხლეს.

თუ ქართველმა-ერმა მიიღო რასაც თხოულობს და რაც კანონით ერგება, გაცილებით უფრო შეიყვარებს და შეიტკბობს რუსის ხალხს და მუდამ მზად იქნება თვისი სიცოცხლე შესწიროს დიდ რუსეთს მტრების დასამხობად და მის ინტერესების დასაცველად. საქმის სათავეში მდგომ ქართველთა ზნეობრივ მოვალეობას შეადგენს, თვისის ერის სურვილს ხელი შეუწყონ და მთავრობასაც საქმის ნამდვილი მნიშვნელობა გააცნონ, მაშინ ჰორიკანონობას თავის თავად გამოეცლება ნიადაგი.

ვიმეორებ, ყველა დიდი რუსეთის ქვეშევრდომი დიდიდან პატარამდე მოვალეა უკანასკნელი სისხლის წვეთიც კი შესწიროს საერთო თავისუფლების მოპოვებას, რომ ძველმა მტარვალობამ სამუდამოდ განუტეოს სული. მხოლოდ რამდენადაც შესაძლებელი იქნება და განახლებულ სახელმწიფოს კანონები ნებას დართავს, კერძოდ თვითეული ერის თავისუფლებისათვისაც უნდა იზრუნონ ერთა წარმომადგენლებმა.

**გ. იმნაიშვილი.**

## საპასექო ნამცხვარი

1.

მაგიდა დატვირთულია ფერად-ფერადი სანოვაგით. ხელგაშლით უხვობს მგზარი თუ [illegible]. შეწითლებულ გოჭს თურინჯის ნაჭერი უკვრია პირში და მაცთურად უღიმის მახლობელ მეინახეს. ფაიფურის ტაბაკზედ მიწოლილ შემწვარ ბატკანს ყელი მოუღერებია და ტარხუნას აჭანწურებს. ფილიკს კალთა გადუხდია დაბროწილ ბექის საჩენად და ძლიერ იზიდავს ნამარხულევ მადას მიუხან; ტარი ქალალდის ჯინჯილით შეუმოსავს, ხელი არ გაეპოხოსო ჩემ მოტრფიალეს. ინდოურს თეთრ-წითლად გადმოუდვია ლანგრის თავს გულ-მკერდი და ჩასთვლემია ჩაფიქრებულს. რა დელამა, რა ყველი! ნაღები, კარაქი, ხაჭო ტკბილად ნაზავი. უამრად მრავლობს ფერადი ნუზლა, მალვიძი მადის მჟავე თუ მწარე; სანუკვარ—სატკბილობელი-კი ყოველი სახე. ტანსუფთა დოქი ყელ მოდგმული ხოშ-გუვარით სავსე. ყარყარა კრიანტელი, ლალის ფერ ნექტარს რომ აციმციმებს. სუფრის შუაზედ კოხტა ჩოლრათო, ყელგაგრძელი კულა ვერცხლისა. თაიგულები ჭრელ-ჭრელ მაშრაფებით. და... მაგიდის თავს წამდგარი პასექის მცხვარი ლიტაო, ნაძვის ღეროსავით აწეულ-აზიდული, თავგვირგვინოსანი, ყანდის ჯვარით მორთულ-შემკული. ეს ტანშეყრილი ცხობილი და სუფრის ბოლოს ხებივრად დებული პირყირმიზი ფუნთუშა, ზევიდან ჯვარედინად ჩანაჭდევი, იყო ამ წუთს დიასახლისის სიამაყე.

— საკუთარი ხელით შემითხზია ორივე, აშართული მშვენებაც სუფრისა, ფუნთუშაც ფაფუკ-მაფუკი. იმედია, მოგეწონებათ, კიდეც შემაქებთ!—მიმართა მანანამ სტუმრებს ღიმილით.

და თითონ აიღო დანა ნამცხვრის ჩამოსაჭრელად. არ გაუჭრა მახვილმა. ძალა მისცა მაჯას, მაინც ვერ გააკვეთინა: დანის პირი ასხლტა კანს. მედგრად დააჭირა. დანის პირი მოეკიდა ქერქს, ვერც კი ჩაკვეთა და, დახე, წელში მოიხარა მცხვარი აშოთილი, აიღო სხვა დანა. ვერ გააჭრევინა. ჩაიზნიქა მაგიდა. შეწკრიალდნენ წვივმაღალი ჭიქები. წამოირყა ბროლის კრიანტელი და დაატეხა თავი მახლობელ დოქს. წატბორდა მეწამული სპეტაკ სუფრაზედ. შეუწინწკლა ქალბატონსაც საკარმანგი გოარ შეყრილი. გახედა სტუმრებს. ორაზროვანი ღიმილით მისჩერებოდნენ. ველარ მოითმინა:

2.

— სულ შენა ხარ, ჩემო მტანჯველო, აღდგომისაც ჩამშხამებელო! დანები არ გაგილესინებია. არც მაგიდის ფეხი ჩამოგიშვია... დანა... ფეხი...

— რას ამბობ, ქალო! რა დანა? როგორ თუ ფეხი?!

— ფეხი მეთქი, შე...

— გაილვიძე, გენაცვა, გაფხიზლდი! ალაბათ მაჯლაჯუნა დაგაწვა. ფეხი სრულებით არ მიმიხვედრებია.

— მაგიდა ჩაინგრა...

— მაგიდა კი არა, ქალო, ტახტმა დაიწია. ხვნეშოდი, იტანჯებოდი. მინდოდა გამეღვიძებინე და შიშით დავბჯინე ტახტს.

წამოიწია დედაკაცმა თავი, თვალები მოიფშვნიტა. სიზმარი ყოფილიყო. ქმარი გულგადაღეღილი დასცქეროდა, დათვის ტოტებივით მკლავები ბალიშზედ დაებჯინა.

— სიზმარი?!

— ჰო, ქალო!

— კარგი, რომ ზმანება ყოფილა! გავიტანჯე.

— სულ გეუბნები, პირქვე ნუ იცი მეთქი წოლა. სახე ჩაგლურჯებია, თვალები ჩაგსისხლებია! უთხრა ქმარმა.

და უნდოდა ხელი შეეხო ხორციან ლოყაზედ, მაგრამ ვერ გაბედა: შუბლის ნაოჭი ჯერ არ გახსნოდა დედაკაცს, იმ ნაპრალისა კი ისე ეშინოდა გაბოს, როგორც აფთართა სასავანე ღრანტესაგან.

— გაბო, წყალი მომაწოდე!

გადმობობღდა ზერდაგი, ახალი სამფსონივით ფაფარ აშლილ-გაბარდღული. მიართვა, ჩაყლაპა ქალმა.

— გულზედ მომისხი, ღაბოჯან!

მოუსხა წყალი ნასუქ მკერდზედ, თეთრ-თეთრ ბორცვებზედ, თითქო გორებზედ, თითქმის რომ მთებზედ ეგმირიელა.

— დამახურე: შემაცრცია.

დაწყნარდნენ. ჩაითბუნეს. გამოიზუზნენ. გაბო ნაჩვევი არ იყო ხშირ ალერსს და ეშხით დათვრა, გაყვინიზდა; ლოგინშივე იდო, ბანჯგვლიანი ხელები საბანზედ ამოეყარნა. ქალი ხარბად მისჩერებოდა მის ხელნასავით მკლავებს. ნებიც კი აუს-ჩაუსვა. ჩადნა კაცი. გულის ბეჭე საალერსოდ გაუღნიოშდა. გაყუჩებულიყო დედაკაცი, ითმენდა; არ იოუხებოდა, კიდეც იღიმოდა.

3.

ეს იყო ბზობას. ამ დღიდან გაბოსათვის აღარ შეკრულა მანანას შუბლი წინად მოლუშული. სახელიც ახალგაზრდობისა დაუბრუნდა, დანიშნულობისა თუ გაფურჩქვნის ხანისა.

— ღაბოჯან, ე მანდ ჩემი მაშიები აწყვია, მომაწოდე!

და ღიმილად გარდაქმნილი ვაჟკაცი მორჩილად მოარბენინებდა ბჭყვრიალა ფეხთსაცმელს.

— შეუძლოდ ხომ არა ხარ, ღაბო, ცოტას რომ სჭამ? იქნება ზეთით არ გიამება. მცირეც მოითმინე, გენაცვალე!

და მადლიერი ღაბუა ორივე მხრით იყრიდა მაფრაშაში ფლავს, რომ მომტკბარ მეუღლისათვის ეჩვენებინა, რა ჯანსაღად იყო, მადიანად. ეს არაფერი: მეუღლეთა შორის ზოგჯერ მზეა და ზოგჯერ კი ცა რისხვა... ეხლა გაზაფხულის მზე ბრწყინავდა მათ შორის და აღტყინებული გრძნობები ვნებათა ბჭემდინ მიჰქროდნენ. ბუნებრივი იყო. მხოლოდ ის იყო საგულისხმო, რომ ქალი მეტის ნდომით უმზერდა ვაჟკაცის მკლავებს, ფართოდ მოხომილ მის მაჯა-თითებს.

— აი რა არის ვარჯიშობა! ბუნებისაგანაც უხვად ვიყავი დაჯილდოებული მკლავთა სიმსხოთი, ახლა ვარჯიშობით განვავითარე ეს ჩემი სამკაული და შევავსე. აკი ვამაყობდი კიდევ მკლავების მოყვანილობით, წარსთქვა გაბომ.

და გაახსენდა ის ხანი, როცა პაპუკი მძიმე საწონთ ისროდა ხელთა სავარჯიშებლად და ან ველოსიპედზედ დაქანობდა მკლავებ შიშველი, ყელლია ტალავარში გამოკვართული. სურათიცა ჰქონდა მაშინდელი. მანანას იმ ვარჯიშობის დროს მოსწონებოდა. მერე დაივიწყა ქალმა ეს თვალსაჩინო მისი სამკაული, ბევრი რამე დაივიწყა მანანამ შემდეგ. მწარეც ბლომად ასვა პეშვით თუ მუჭით.

— ეხლა ისევ გადაიარა ბნელმა დრომ. მადლობა ღმერთს! ლხინში მყოფს არ მმართებს წარსულთა ჭირთა ხსენება, ფიქრობდა ბედიანი.

და ისწრაფიდა ესარგებლნა კარგი წუთებით, ნაღები მოეხადნა დაბრუნებულ მსუქან დროსათვის. მარად ქალის თვალთ წინ ატრიალებდა დალოცვილ მკლავებს, რომელთ სამისოდ კვლავ მოალხვეს გული მყინვარი. რაც ხანი გადიოდა, მანანა უფრო ტკბებოდა, უალერსებდა, ყანდად ადნებოდა, ნაზ შაქარლამად.

4.

— გაბოჯან! ხომ ამდენ რასმე ვყიდულობთ სადღესასწაულოდ, მაგრამ, იცოდე, აღდგომის სუფრის უმთავრესი მშვენება არის საპასექო ნამცხვარი. თუ ის ვერ არის კარგი, ამაოა ყოველგვარი სანოვაგე, მისი საუკეთესოდ შემხადებაც.

— მართალს ამბობ, ჩემო კარგო!

— ყველა დღესასწაულს თავის საკუთარი რამ ახლავს მამშვენებელი და იმითი ამაყობს: ახალწელს გოზინაყი, ფერისცვალებას ნუგბარი ხილი, ხარებობას ზუგიელი, აღდგომას მწყობრად ასული ლოლუა ნაფუარი და კიდევ ნებივრად მიწოლილი ფუნთუშა პირ-პოხილი, კვერცხ ნაცხები, წითლად მაწყინავი.

— მართალს ამბობ, ჩემო ჭკვიანო! ყველა დღესასწაულს თავისი შნო სდევს და თავისი მაშვენი არზანიკი.

— შარშან ხომ ძვირფასი საუზმეი გვქონდა, მაგრამ უშნო ნამცხვარმა ჩაჰრდილა ყველაფერი. მეც დამამცხო სხვა დიასახლისთა შორის, თუმცა, ჩვენთვის ვსთქვათ, რითი მჯობიან?

— ოღონდაც რომ ვერაფრით!

— შარშან კი მაჯობეს. სულ თეონას ბრალი იყო: ვერ დაეზილნა პასექის ცომი.

— რატომ არ დაითხოვე, გენაცვალე?

— იმისთვის რომ ძალიან კარგი მზარეულია. მაგრამ მკლავები კალის კლანჭებს მიუგავს და მაგისი დაზელილი ცომი რა უნდა იყოს?! მე კი... ნახე რა ფუნთუშა ხელი მაქვს, მაგრამ ძალა არ მომდევს, მაჯები მწყდება მძიმე საქმეში.

— რბილია დალოცვილი, ნამდვილ ფუნთუშა და თან ნაზი, საალერსო.

— აი შენისთანა მკლავები უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ოც წუთში მოაქანოს, ალვასავით დაზილოს ცომი.

— გაბომ დახედა თავის მკლავს, მიუტოლა ცოლისას.

— რა თეთრი მკლავი გაქვს, მარად საკოცნელი! ერთი მაჯაზედ. ოხაი! ერთიც იდაყვთან. რა ტკბილია!

— ეჰ, სჯობს მევე მოვზილო. კარგია თუ თეონა დროზედ მოვიდა, ცოტას მაინც მომეშველა. აბა წამო, ვნახოთ, რა მშვენიერი ფქვილია და მასალა; ჰემი იჭვავ!

5.

წავიდნენ. იქაურობა სავსე იყო ყოველგვარი მასალით: რძე, ერბო, კვერცხის გული, გაცრილი შაქარი, სანელი სუნელოვანი, მზამზადი საფუარი. დაიმკლავა მანანამ. მოაქანა ცომი. მალე ჩამოყარა ხელები.

— არ შემიძლიან! დედაკაციც აქ არ არის. რა არის, ბიჭო, ცოტა წამეხმარო. ერთად მოვზილოთ. კარებს დავკეტავ, არავინ გვნახოს.

— კარგი! მასწავლე კი.

ქალმა მარდად გადიბანა ხელები. გახადა კაცს ზედა საცმელი, მაღლა აუკეცა სახელოები. გაბო ეხლა თითქმის ისე იყო ჩაცმული, როგორც ახალგაზრდობისას ბურთაობისა თუ სხვა სავაჟკაცო ვარჯიშობის დროს შეუდგა საქმეს. არც ისე ძნელი ეჩვენა პირველს ხანს. იცინოდნენ, ლაღობდნენ; გაზაფხულის ხანი დაჰბრუნებოდათ. თანდათან შეძნელდა შრომა: შენითვდა ცომი, მძიმე სატკეპნელ-საბრუნებელი შეიქმნა. ოფლი დაეძრა ვაჟკაცს. ცოლმა თავის ხელსახოცით შეუმშრალა შუბლი თუ თვალები, სუნნელება ნაპკურებ ხელმანდილით. ამისთანა ყურადღების შემდეგ შეუძლებელი-ღა იყო ცომიდან ხელის ამოღება. ოფლი აღარა შრებოდა.

— იცი, გენაცვალე, ხილაბანდს გადაგაკრავ: ოფლსაც შეიშრობს, თმაც აღარ დაგებნევა.

— კარგი!

— მოდი ფეშტამალსაც აგაფარებ.

— როგორც გინდოდეს!

მარჯვედ მოიგონა მანანამ: ჯალჯივით თმა მთლად აჰფურტკნოდა, შუბლზედ თუ საფეთქლებზედ დაჰკროდა დასველებული; ფქვილის ნაბუარა გადასდიოდა. მოარტყა ფეშტამალი. წააკრა ხილაბანდი. თავსახვევის წვერები აშვერილნი შერჩნენ, კედელზედ მოგრძო ყურებად აუთამაშდნენ მშუქნავ აჩრდილს. დაიღალა გაბო, მოიქანცა. სცადა თავი დაეხსნა უჩვევ ჯაფისაგან, მაგრამ ველარას გახდა: ცოლი ეხვეწებოდა, ბოლოს კიდეც ჯავრობდა.

— იცოდე, თუ შეაყენე ზელვა და შეაგრილე ცომი, მთელი მასალა დაიღუპება. ვის დაუძახო ეხლა?! თეონაც შინ არ არის. მე კი, კარგად იცი, მაგოდენა ცომის ბრუნება ვერ შემიძლიან.

ქალს ხმაში მკაცრი ბგერა შეაჩნდა. გაბომ მშვენივრად იცოდა ამ ხმიანობის შედეგები, ნაწვნევი ჰქონდა. შეხედა. შუბლზედ ნაოჭი ჩარღმავებოდა, თვალებს სასტიკი იერი მიეღოთ. ხაფანგში მოჰყოლოდა ვაჟკაცი. ხელები სულ დაეგალა, შიგა და შიგ აეწვა ესეთი ბრძოლის უჩვევი კანი. ოფლი წურწურითა სდიოდა. გული უღრიხავდა, ულონო ჯავრი ახრჩობდა. ჯაფას მაინც აგრძობდა: დატოვება ველარ ხერხდებოდა.

— კარგი, გეყოფა! სულ დაბეგვე საზელი. დახე, ქვა არის რადა უდღეკელი. საფახელიც მეტი აქვს. როგორღა უნდა აფუვდეს.?!

6.

წითელი პარასკევი იყო. ქალაქის ბაღში შეყრილიყვნენ ერთი კბილის კაცები. ჯგუფად იდგნენ; დაწყნარებულნი კი ვერ იყვნენ: შინიდგან მოელოდნენ დამახილს თუ დავალებას. უსხობდნენ, ისჯელობდნენ.

— კარგი დღესასწაულია აღდგომა, მაგრამ დიდი ხარჯი სდევს, ბევრი საზრუნველი.

— ძალიად ბერწყავს ჯიბეს: ახალი თუ გაახლებული ტანსაცმელი, სახურქურები, მრავალგვარი სანოვაგე, ხაიო-ხაიო სასმელი. გაქვს თუ არა გაქვს, უნდა მოახერხო.

— მერე როგორ სტყუვდები, რაკი ჩქარობ! ბატკანი ვიყიდე მუხლმაღალი, ძალხაზ თვალებიანი, ბამბასავით თეთრი. გამყიდველი გამიდგა. გამიწყრება: სამარხოაო, ვხების კვირაშიც იქნებაო.

— შარშან მომივიდა რაიღაც: გოჭი ვიყიდე შავი, კანიც შავი ჰქონდა; აპეტიტით [illegible] ლანგარზედ ჩემი ცოლდით-[illegible] -შავი ფერი.

— ეგენი არ მაწუხებენ: ფულს ვახარჯავ, სხვას ვსაქმებ. სახლის დალაგებამ გამომდევნა შინიდან. მთელი ოთახები ძირს დასცეს, ალმა აბრუნეს.

— ქართველის ოჯახი თუ დღესასწაულებში არ იგვებ-იწმინდებოდეს, ნაგვით აივსებოდა.

— ყველა ყველასა ჩიოდა, მენახირე ბუზანკალისა. მე სააღდგომო ნამცხვარმა გამიმწარა ყოფა, ჩაურთვა გაბომ.

— ეგ საზრუნველ-სადარტვინელი ყველა ოჯახშია: დიასახლისებს მაგითი მოსწონთ თავი, უთუოთ თავიანთ გამოცხობილით.

— ნეტა რა მოგონებაა. გამოაცხონ ნაზუქი და მორჩეს!

— არა, მაგ ძველის-ძველ ჩვეულობას დიდი მნიშვნელობა აქვს. აღდგომა გაზაფხულის დღესასწაულია, ზამთრის ძილიდან ბუნების გაღვიძებისა, მისი ნაყოფიერების განცხოველებისა; სითბო-სინატლის ხანა, აყვავ-აღორძინების ჟამი. შეხე, ბუნება ქალაქ ადგილასაც კი იხარებს: ხეები ყვავილად გადაპენტილი, ნორჩი მდელო ზურმუხტად გაშლილი, ყვავილებითვე მოქარგული. ფრინველთ მხიარული ჟღივილი. ყველა სულდგმული ისწრაფვის სატრფიალ-სანაყოფოდ. ჩანერგილია ნიჟი განმრავლებისა და უნდა იმრავლო, მცენარე სძევს აღორძინება და უნდა გეფუფუნდე.

— საიდან სადაო! მე ნამცხვარზედ გეუბნებოდი.

— მაცა! ქრისტიანობამდისაც ბუნების განახლების ხანა, მისი ნაყოფიერების დრო ღვთაებათა იწვევდა. ყველა რჯულში აღნიშნული იყო ეს სადღესასწაულო დრო. ღმერთებიცა ჰყვანდათ ნაყოფიერებისა, ქალღმერთნი თუ ვაჟ-ღმერთნი. მეტადრე ქალები იღებდნენ ცხოველ მონაწილეობას ამ ზეიმში: უფრო დედანი არიან ქურუმნი ნაყოფიერებისა, მუშაკნი აღორძინებისა. წინა აზიაში ნაყოფიერების ამ დღესასწაულს აღვნიშნავდით შესაფერი ემბლემებით, რომლებსაც შეზავებულ ცომიდან ვაცხობდით. ეს ნიშნები იყო: ლიტაოდ ასული შოთი და ნებივრად მიწოლილი მცხვარი პოხილი, რომელს ზევიდან ჩაჭდევი ჰქონდა ხელის უფლო ჩადრეკილი. ქურუმი ქალები ებაოთ მათი ძომხადება. იმათვე და მათთან მოხეიმეებს დაჰქონდათ ეს ნიშნები კარდაკარ, სოფლიდან-სოფლად. ცეკვავდნენ, მღეროდნენ, ღიღინებდნენ შესაფერ ჰიმნებს. ხალხმა არ დაივიწყა დღესასწაული ბუნების ძალთა განახლებისა, მკუთოთა ბრწყინვალე აღდგომის დღეს, მხოლოდ გაცვლიდა, ჯვარით აკურთხა.

— როგორი ისტორიაა?! ალბათ ძოაჭორე, შენიშნა ზუაბმა.

— თუ ეგრეა, რანა ღირს იზრუნოს ადამიანმა ის ნამცხვრისათვის, სისხლის ოფლადმის ილმოს მისთვის. აი ასახი ლოთისა, ნახეთ! თქვა გაბომ.

და წარმოშვირა ზელვისაგან დაბეგვილ-აბებრუებული ხელები.

— როგორ, შენც ჩემსავით გამოსცადე ცომის ღაზელვა?! წამოსცდა თუხგიზს და გაწითლდა.

**ვ. ბარნოვი.**

1917 წ. მარტის 30.

## რევოლიუციის დღეებში

### პროფესორი [illegible]

პეტროგრადი. საქართველოს ეკლესიის საქმეების ორწმუნეულად, დროებითმა მთავრობამ თავის [illegible] დანიშნა პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორი [illegible].

### კერენსკის სიტყვა მუშათა საბჭოში

პეტროგრადი. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს დელეგატთა საერთო სხდომაზე, იუსტიციის მინისტრი კერენსკი გამოცხადდა და რიგს გარეშე სიტყვა მოითხოვა. დელეგატები დიდის აღტაცებით მიეგებნენ. „დროებითი მთავრობის სახელით მოგესალმებით,—სთქვა კერენსკიმ,—თქვენ ჯარისკაცთა, მუშათა და გლეხთა საბჭოების დელეგატებს და ამასთანავე ვაცხადებ, რომ მთავრობა აღიარებს [illegible] კლასის დიდ წვლილს რევოლიუციის წინაშე. მე, როგორც მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წევრი, [illegible] ორიოდე სიტყვა: [illegible] რევოლიუციის იმაში მდგომარეობს, რომ სამოქმედო ასპარეზზე გამოვიდა რუსეთის დემოკრატია, რომლის მიზნით ძირითად-ფესვიანათ [illegible] მისი მიზანი. დემოკრატია გულისხმობს ერთა შორის ძმობა-ერთობის განმტკიცებას, დამყარებას და მეგობრულ განწყობილებას. მაგრამ, არის ხოლმე

დავით ილარიონის ძე და თინათინ გიორგი ციჩნაძის ასული ფორაქიშვილები ვაჟებითურთ: გიორგი, ზაქარია, ირაკლი, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველნი შვილის და მეორენი ძმის

# ილარიონ დავითის ძის
# ფორაქიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3 აპრილს, ნაშუადღევის პირველ საათზე და საღამოს 7 საათზე. მიცვალებულის გამოსვენება სამშაბათს, 4 აპრილს, დილის 10 საათზე. ავლაბარი, საკუთარი სახლი, ტუჩკოვის ქუჩა, № 1, წმიდა მარინეს ეკლესიაში. დაკრძალვა იქვე, საგვარეულო აკლდამაში.

ისეთი მდგომარეობა, როდესაც საჭიროა მხნედ და ფხიზლად დაიცვა შენი ინტერესები. ეს წამიც დადგა. რუსის დემოკრატიამ უკუაგდო დაპყრობითი განზრახვანი. ამ მოვლენას, აუცილებლივ ანგარიში უნდა გაუწიონ მებრძოლ სახელმწიფოებმა და აგრეთვე ნეიტრალურ სახელმწიფოებმაც კი.

სანამ დემოკრატია ამ ნიადაგზე სდგას, ჩვენ ვალდებულნი ვართ, დავიცვათ ჩვენი სამშობლო, ქვეყანა და ჩვენი თავისუფლება. იმ აუარებელ სისხლის ღვრაში, რომელიც ამ ომიანობამ გამოიწვია, იმ გმირების სახელით, რომელთაც სიცოცხლე შესწირეს ჩვენს სამშობლოს, ჩვენც ვალდებულნი ვართ მივსდიოთ იმათ კვალს, რათა დავრჩეთ თავისუფალნი, დამოუკიდებელნი და ძლიერნი დემოკრატიულ განახლებულ რუსეთის მოქალაქენი.

## ომის დეპეშები
### შტაბის ბანაკის ცნობა.
**31 მარტი**

**პეტროგრადი.** დასავლეთის, რუმინეთის და კავკასიის ასპარეზებზე სროლა და ზვერვაა.

### გემების დაღუპვა

**ლონდონი.** ვაშინგტონიდან იტყობინებიან: ამერიკის გემი „ნიუ-იორკი“ ნავთსადგურში შესვლის დროს ნაღმს წააწყდა, მაგრამ არ დაღუპულა.

**მადრიდი.** ლონდონიდან ბარსელონაში მიმავალი, ქვანახშირით დატვირთული ესპანიის გემი „სანფიულგენი“ წყალქვეშით დაღუპა.

**მადრიდი.** ესპანიის გემი „სოალფოლედენცია“ გერმანიის შემდეგ ვერმანელთის ნებართვით აღჭურვილი და ესპანეთიდან გასული, გაფრთხილების მიუცემლად გერმანელების წყალქვეშით დაღუპა.

**რიო-ჟანეირო.** ოფიც. ცნობა. გემი „პარანა“ წყნარად მისცურავდა. იგი შიგნით და გარეთ განათებული იყო და ნათლად მოსჩანდა წარწერა „ბრაზილია“. წყალქვეშმა გაფრთხილების მიუცემლად გემს ნაღმი ესროლა და ზარბაზნიც ხუთ ჯერ მიაყოლა. წყალქვეშის დაღუპულ გემიდან ორივეს გადარჩენია. ამის გამო ბრაზილიის მთავრობამ გერმანიასთან სადიპლომატო განწყობილება გასწყვიტა.

### რუსეთის ასპარეზი

**ალჟირ.** სარწმუნოდ გადმოგვცემენ, რომ 25 მარტიდან გერმანელების ჯარში შეწყვეტეს ჯარისკაცთა და ოფიცერთა დასასვენებლად დათხოვნა. ბერლინში დასასვენებლად მყოფმა ოფიცრობამ ბრძანება მიიღო დაუყოვნებლივ დაუბრუნდენ თავ-თავიანთ პოლკებს. ამავე დროს გერმანელებს დიდძალი ჯარი გადმოჰყავთ და მოსალოდნელია მათი აიოქმედეია რუსეთის ჩრდილოეთისა და დასავლეთის ასპარეზზე.

### ვილჰელმის რესკრიპტი

**სტოკჰოლმი.** ბერლინიდან ოფიციალურ გამოცხადდეს ვილჰელმის რესკრიპტი. ვილჰელმს ეს რესკრიპტი გამოუცია როგორც პრუსიის მეფეს, ბეტმან-ჰოლვეგის სახელზე: „ვესხრონოფები რო, მიხეილიკისა და ხალხის ინტერესების განმტკიცებისა და შეხანხრუნებულ ხალხისა და მიხაილიკის საკეთილდღეოდ, მე განვიზრახე ჩვენი შინაური პოლიტიკური, სამეურნეო და სოციალური წყობილების გარდაქმნა. ხოლო ეს მოხდება იმ დროს, როცა ომის მიზეგებით შესაძლებელი იქნება. ჩვენი თანამოქალაქენი მილიონებით არიან ბრძოლის ველზე გასულნი, და ამიტომ საბოლოოდ ამ ხასიათის გაცვლა-გამოცვლა, რაც გარდაუვალი იქნება კონსტიტუციის ძირითად გარდაქმნისა, შეუძლებელია. ამიტომ ამ საკითხის გადაწყვეტა გადადებულ იქნება იმ დრომდის, ვიდრე ჩვენი თანამებრძოლები საბრძოლო ველში დარჩებიან და შეძლებენ ორგვარით და სიტყვით ახალ საქმეს ხელი შეუწყონ. მაგრამ, გამარჯვების შემდეგ რომ (და რომ გავიმარჯვებთ ეს მტკიცეა) შეგვეძლოს დაუყოვნებლივ საქმეს შევუდგეთ, მსურს, რომ წინასწარ მზადება ახლავე შევუდგე“.

(გაგრძელება იქნება. ტელეგრაფს არ გადმოუცია).

## აფეთქება

**ბერნი.** ასაფეთქებულ მასალათა ქარხანაში ძლიერი აფეთქება მოხდა; 4 მუშა იმსხვერპლა.

**1 აპრილი**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. სოკალის მიმართულებით, ოზერკის მიდამოებში (გალიციაში) მოპირდაპირემ, ზარბაზნების დაშენის შემდეგ, იერიში მოიტანა და აიღო ჩვენი სანგრები, მაგრამ სამაგიერო იერიშით გავდევნეთ და ჩვენი მდგომარეობა აღვიდგინეთ. მოგოხოდ ჩარის მიდამოებში ავსტრიელებმა მახრჩობელა გაზით გატენილი ყუმბარები დაგვიშინეს; გაზის ტალღამ მისტრიცამდე მოაღწია და გაიფანტა; ვნება არ მიუყენებია. ამის შემდეგ ავსტრიელებმა საიერიშო ზარბაზნები დაგვიშინეს, რომლის დროსაც მტრის მოწინავე თხრილებში აფორიაქება მოხდა; ავსტრიელთა ნაწილი ზურგის მხარეს იხევდა, ნაწილი თეთრი ბაირაღებით ჩვენს თხრილებს უახლოვდებოდნენ, მაგრამ თავისიანებმა ზარბაზნები დაუშინეს და ავსტრიელები თავის სანგრებისაკენ გაექანნენ.

**რუმინეთის და კავკასიის ასპარეზზე** სროლა და ზვერვაა.

**მფრინავთა მოქმედება.** პოგორელცის სადგურის მიდამოებში, ალექსანდროვის რკინის გზაზე გერმანელების საფრენი ჩამოვაგდეთ. გერმანელების 17 საფრენი თავს დაესხა მონასტერჟასკოს ჩრდილოეთ მიდამოებში ჩვენი ჯარის ზურგის მხარეს, მაგრამ ვნება არ მიუყენებია.

## ჟურნალ-გაზეთებიდან
### გრაფ ჩერნინის აზრი

ავსტრო-უნგრეთის გარეშე საქმეთა მინისტრს გრაფ ჩერნინს ერთი გაზეთის კორესპონდენტისათვის უთქვამს: ჩვენი ფრონტები ეხლა უფრო გამაგრებული, ვიდრე როდისმე ყოფილა, ხოლო ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა სავსებით უზრუნველყოფილია. ჩვენ ამ ომის გაძლება შეგვიძლიან და გავუძლებთ კიდეც. ომის გასათავებლად ერთად ერთი საშუალება ის არის, რომ მეომარ სახელმწიფოებმა სამშვიდობო კონფერენცია მოიწვიონ. ეს გარემოება ომის მსვლელობას ხელს არ შეუშლის, რადგანაც ველზე ბრძოლა კონფერენციის დროს შეიძლება არ შესწყდეს.

—

„უტრო როსსიი“-აში დაბეჭდილია წერილი ამ სათაურით: „სამშობლო განსაცდელშია“. წერილის ავტორი თავის წერილს მუშათა დეპუტატების საბჭოს მიმართ სწერს და ამტკიცებს, რომ ძნელია არა გარეშე მტრის დამარცხება, არა რევოლიუციის მოხდენა, რომ თავისუფლებას შიში არც კონტრ-რევოლიუციისაგან მოელის, არც მტრისაგან, არამედ შინაურ ეკონომიურ ცხოვრების მოუწყობლობისაგან. მუშები ეხლა სცდილობენ რვა საათის სამუშაო დღის შემოღებას. ეხლა, როდესაც ყველი მომა უნდა გაორკეცდეს, როდესაც საჭიროა ჯარისათვის გაორკეცებული შრომა, ეხლა სამუშაო დღის შემოკლება შეუწყნარებელია.

## რევოლუციის მსხვერპლნი

სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის მუშაობის ცნობები რუსეთის რევოლიუციის მსხვერპლთა რაოდენობაა. სულ რევოლუციას 1443 ადამიანი უმსხვერპლია პეტროგრადში. ამათში მოკლულია 169, დაჭრილია 995, დასახიჩრებულია და ავადმყოფობაში წავს 279.

ამათში სამხედრო პირი 869 კაცია, მათ შორის 60 ოფიცერი (9 დასახიჩრებული, 40 დაჭრილი, 11 მოკლული). ჯარის კაცი—809 (247 დასახიჩრებული, 503 დაჭრილი და 59 მოკლული), სხვა—237 (13 დასახიჩრებული, 202 დაჭრილი, 22 მოკლული); ამათგან კაცი 197, ქალი 40. უმაღლეს სასწავლებლის მოსწავლე—25 (6 მოკლული, 19 დაჭრილი); ამათგან 21 ვაჟი, 4 ქალი; მოქალაქე—231 (დასახიჩრებული 10, დაჭრილი 166, მოკლული—55; ამათგან კაცი 182, ქალი 49). ბავშვები 15 წლამდე მოკლულა 16 ვაჟი, 4 ქალი.

ამათ გარდა მოკლულია 11 პოლიციელი, დაჭრილია 50. („რუსკ. სლ.“)

## განთიადის შუქმა დაჰკრა

განთიადის შუქმა დაჰკრა,
აელვარდა სხივთა გროვა,
უფსკრულებში იმალება
მტაცებელთა დიდი ხროვა.
ვინც ვერ ასწრობს, ისიც გარბის,
როგორც მაჩნე კაცის თვალი,
და იმათაც უკან მისდევს
მრისხანების ქარიშხალი.
დღის სინათლემ მთლად დაჰფანტა,
რაც კი იყო ბნელი ძალა
და ქვეყანამ ცრემლიანი
თვალი შვებით შეიმშრალა.
მთამაც ნისლი გადიყარა,
მოიხვია მზის მანტია,
ცის მნათობთა სიხარული
გულში ვეღარ დაიტია.
გამაღლებით მიაპობს ცას,
მოსცურავს და მოლივლივებს,
თავისუფალ მთების კალთებს
უხვად აფრქვევს შუქს და სხივებს.
პირ-მცინარეს, მოელვარეს,
დაბლა მოსდევს ფრინველთ ჯარი,
მათ სიხარულს აღარა აქვს
არც ბოლო და არც საზღვარი.
სრიალებენ, ტრიალებენ,
ალმა-დალმა დაფრინავენ,
განთიადის საგვირგვინოდ
მზის სხივების ჯილდოს სწნავენ.
ძლევამოსილთ სადიდებლად
სთხზავენ ახალ საგალობელს,
აღარაფრად აღარ სთვლიან
შვებისა და ლხენის მგზობელს.
ამათ მაღლა ისარივით
მწკრივად მოსდევს წერო წეროს,
ყველას უნდა ქვეყნის „ვაშას“
ხელი ფრთებით მოაწეროს.
სიკვდილის წინ რომ ფიქრობდა
სიმღერის თქმას თეთრი გედი,
მუხრუჭში ჰყავს დაისრული
მუხთალი და მწარე ბედი.
ჰაერის ზღვის ტალღებს არ ლევს,
ის სიძნელე აღარ ჰხედავს,
საცა არის, თავის ქვეყნის
ლამაზ ქედებს გადმოხედავს.
დაეშვება, დაეკვრება
ნაცნობ ტბებს და ნაცნობ სერებს
და დიდიხნის მოქანცული
გულში ტკბილად დაიმღერებს.
სალამს მისცემს სამშობლო ცა
ახლა სულით დამშვებულს,
სიმართლისთვის წამებულსა,
დევნულსა და შორად რებულს.
სხვა გედებიც გაჩნდებიან
სათითაოდ მასთან ხვალე,
აღარც ერთი არ იქნება
დღეის იქით მოვალალე.
და კურთხევით მოიხსენებს
ყველა ერთად მებრძოლ გმირებს,
ქვეყნისათვის თავდადებულთ,
ქვეყნისათვის დახოცილებს.
ვაშა იმათ ლამაზ სიკვდილს,
ვაშა პირის ამტან გედებს,
სიკვდილამდის რომ არ ჰხრიან
სიბნელის წინ ამაყ ქედებს.

შიო მღვიმელი.

## ახალი ამბავი

◆ **ტრამვაი.** დღეს, 2 აპრილს, თანახმად ტრამვაის მოსამსახურეთა თხოვნისა, ტრამვაი იმუშავებს დილის 10-დან საღამოს 7 საათამდის.

◆ **ყულაბებით ფულის შეგროვება.** 4 აპრილს თბილისში გაიმართება ყულაბებით ფულის შეგროვება. შეგროვილი ფული მოხმარდება რევოლიუციის მსხვერპლთა ოჯახებს და სარევოლიუციო საქმეს.

◆ **მასწავლებელთა კრება.** 5 აპრილს, თბილისში, რკინის გზის საქალაქო სასწავლებელში (ალექსანდროვის ქუჩა, 57) დანიშნულია რკინის გზის სასწავლებელთა მასწავლებლების კრება, რომელმაც უნდა გამოარკვიოს თავის წევრთა საორგანიზაციო, უფლებრივი და ქონებრივი საკითხები.

◆ **ქართველ სტუდენტთა საორგანიზაციო კრება.** ქ. თბილისში მყოფ ქართველ სტუდენტთა ჯგუფი მოუწოდებს ყველა ახლანდ სტუდენტთ, განურჩევლად სქესისა და პარტიულ მიმართულებისა, როგორც რუსეთის, აგრეთვე საღვარ-გარეთის, სასწავლებლებისას, მობრძანდენ 5 აპრილს, ოთხშაბათს, 6 საათზედ, ახალი ქართული ბანკის შენობაში (ლოთის მელიქოვის ქუჩა, შესავალი სამების ქუჩიდან), კრების საგანია იმ საკითხთა გარკვევა, რომელნიც შეეხებიან საქართველოში ჩამოსულ სტუდენტთა სარევოლიუციო ორგანიზაციის და სტუდენტურ ყრილობის მოწვევას.

◆ **ლონდონში მყოფი ქართველები:** ვარ. ჩერქეზიშვილი, დ. ღამბაშიძე, გ. ხიხაძიშვილი, ვ. გუგუშვილი, ა. შალამბერიძე და კოჩიაშვილი სამშობლოში ვერ წამოსულან, რადგან, გერმანელთა წყალქვეშა ნავების თარეშის გამო, ზღვით მოგზაურობა მეტად საშიში ყოფილა.

◆ **დატუსაღება.** თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით 30 მარტს დატუსაღებულ იქმნა ან. ს. ღულაძე.

◆ **პროვოკატორის დატუსაღება.** დაატუსაღეს თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრი ვალ. კოპალეიშვილი, რომელიც, როგორც გამოირკვა, პროვოკატორი ყოფილა.

◆ **დაატუსაღეს** 1 თვით მაგარი სასმელების გაყიდვისათვის ბ-ნი ბოსტანჯიევი, რომელსაც დიდი საგასტრონომიო მაღაზია აქვს სოლოლაკის ქუჩაზე.

◆ **ახალი წიგნი.** მოსკოვში ამ ჟამად იბეჭდება „მოსკოვის ქართული სამეცნიერო და სალიტერატურო საზოგადოების შრომათა“ მესამე ნაწილი, რომელიც შეიცავს გრიგოლ ვეშაპელის ნაშრომს: „საქართველოს გაერთიანება და რუსეთის პროტექტორატი.“ რუსეთ-საქართველოს ტრაქტატი 1783 წლისა და ქართლ-კახეთისა, იმერეთისა, ოდიშისა და გურიის საკავშირო ხელშეკრულება 1790 წლისა). წიგნს ჩართული აქვს ორივე ტრაქტატის სრული ტექსტი. ესევე წიგნი იბეჭდება ქართულ ენაზედ თბილისში.

◆ **ქართველ ტეხნიკოსთა კავშირი.** ქართველ ინჟინერთა და ტეხნიკოსთა ერთის ჯგუფის თაოსნობით შაბათს 8 აპრილს ქართულ სამეურნეო ბანკში (სასახლის ქუჩა) გაიმართება საორგანიზაციო კრება, სასურველია დაესწრნენ როგორც ქალაქიდან, ისე სოფლიდან.

◆ **უწყლობა თბილისში.** თბილისის წყალსადენი გაზაფხულზე დღეში იძლევა 1.500.000 ვედრო წყალს. ამ რაოდენობაში წყაროს წყალი ურევია 400.000 ვედრო, დანარჩენი 1.000.000 ვედრო მტკვრის გაწმენდილი წყალია. მაგრამ ზამთრის და გაზაფხულის ხმელი ამინდის გამო წყაროები დაშრა და ეხლა მხოლოდ 100.000 ვედრო წყალს იძლევა და, მაშასადამე, დღიურ წყლის რაოდენობა 300.000 ვედროთი შემცირდა. ამის გამო ქალაქში ყველგან წყლის ნაკლებობაა და ცხადია, ზაფხულში კრიზისი უფრო გაცხოველდება.

## თბილისის მუშათა საბჭოს

მარტის 31 „საქართველოს“ რედაქციამ მიიღო თბილისის მუშათა საბჭოს, 194 №-ით მოწერილობა. მუშათა საბჭო აღნიშნავს, რომ მისი ყურადღება მიუქცევია „საქართველოს“ ფურცლებზე მოთავსებულს ვითომც და მუშათა საბჭოს წინააღმდეგ მიმართულ წერილებს და განსაკუთრებით გაზეთის № 69 მოთავსებულ წერილს, სადაც გამოთქმული იყო შიში, რომ ვაი თუ მუშათა საბჭოს წარმომადგენელთა მოღვაწეობით სოფლად განმეორდეს 1905—1906 წლის რბევა, ურთი-ერთი ბრძოლა და უთანხმოებაო. მუშათა საბჭო დაასკვნის: „აღვნიშნავთ რა პრესაში ასეთ გამოსვლის პროვოკაციულ ხასიათს, რომელიც გარდა იმისა, რომ ბოროტი ცილისწამებაა, საზოგადოების ერთი ნაწილის ახალ რევოლიუციონურ მთავრობის წინააღმდეგ ამხედრების აშკარა სურვილს გამოხატავს, მუშათა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი აფრთხილებს რედაქციას, რომ უკეთუ მომავალში „საქართველოში“ ასეთი წერილი დაიბეჭდა, მუშათა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ამის გამო ყოველგვარ ზომებს მიიღებს გაზეთის წინააღმდეგ და გაზეთსაც კი დაუხურავს“.

სანამ ამ მოწერილობას ღირსეულ ანგარიშს გაუწევდეთ, რედაქციისთვის საჭიროა იცოდეს:

ა) ვინ არის მთავრობა ამ ჟამად ჩვენში, ამიერ-კავკასიის კომიტეტი თუ მუშათა საბჭო?! ვის უნდა ვემორჩილებოდეთ?

ბ) შესაძლებელია თუ არა—ერთი და იგივე დაწესებულება, მუშათა საბჭო—ერთ და იმავ დროს, ესე იგი: მოჩივანი, მოპასუხე, მსაჯული და განაჩენის აღმასრულებელი?!

ამ კითხვების გამორკვევა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ყველა იმათთვის, ვისაც სწამს უფლება, სამართალი და ვინც ნამდვილი თავისუფლების დამყარებას ესწრაფვის.

## საქართველოს საკათალიკოსო
### მისალოცი დეპეშები

**ახალ სენაკი.** სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი დიდის აღტაცებით ეგებება საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის უფლებათა აღდგენის ამბავს. განიხარა აგრეთვე იმ ამბით, რომ ჩვენი საყვარელი მწყემსმთავარი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ ამოირჩევიხართ. მდაბლად მოგილოცავთ და უფალსა ვსთხოვთ მრავალჟამიერ ჰყოს თქვენი ძვირფასი სიცოცხლე მრავალტანჯულ საქართველოს საკეთილდღეოდ. გთხოვთ, მეუფეო სახიერო, მომავალშიაც არ მოაკლოთ სასწავლებელს თქვენი მწყემს მთავრული მფარველობა და მზრუნველობა. იმედი გვაქვს ავტოკეფალური ეკლესია საქართველოსი ავტონომიურ საქართველოში იქნება, განუწყვეტლად დაკავშირებული თავისუფალ რუსეთთან.

**სასულიერო სასწავლებ. გამგეობა.**

—

**ბრძოლის ველიდან.** მოწიწებით მოგესალმებით მეუფეო, როგორც საქართველოს განახლებულ საკათალიკოსოს წინამძღვარს და გამომთქმელს ქართველ ერის სურვილთა.

მღვდ. სერაპ. ცაგარეიშვილი, ექიმი ჯაფარიძე და სხ.

—

**ახალქალაქი.** ზენაარსსა ვსთხოვთ მოგანიჭოსთ ძალა და მხნეობა უწინამძღვროთ და აღაყვავოთ ივერიის საკათალიკოსო ეკლესია, მთელის საუკუნის განმავლობაში მტარვალთა მიერ გაწამებული და გვემული.

**თაბუნი ვარძიის მონასტრისა.**

## ერთ „აღმასრულებელ“ კომიტეტის გამოსვლის გამო

„ზაკავკ. რეჩის“ № 71-ში (და იქიდან „საქართველო“-შიაც გადმობეჭდა) დაბეჭდილი იყო დადგენილება „აღმასრულებელ კომიტეტისა“, რომელმაც თავის თავს უწოდა „აღმასრულებელი კომიტეტი“ რუსის მრევლისა და სამხედრო სამღვდელოებისა, სჯულის მასწავლებელთა, დაწესებულებათა, საექსარხოსოს სასწავლებელთა, სამღვდელოთა და საეროთა და სხვათა შორის აცხობდა:

„საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა უკვე მომხდარი ფაქტია, ამასთანავე რადგანაც შეუძლებლად ვსთვლით, რომ ქართულ საკათალიკოსოში შევიდეთ, ვსთხოვთ უწმიდეს სინოდს დაარსოს ამიერ-კავკასიის საექსარხოსო, რომელშიც შევლენ რუსები, აგრეთვე მართლმადიდებელთა ისეთი მრევლნი, რომელნიც ჩვენთან შეერთებას მოისურვებენ“.

რა თქმა უნდა, სამმო კავშირის დამყარება რუსის მართლმადიდებელთა და ამიერ-კავკასიის არა რუს მცხოვრებთა შორის ქართულ საკათალიკოსოს საზღვრებში საჭიროც არის და სავალდებულოც, მაგრამ ამავე დროს აუცილებლივ საჭიროა შევნიშნოთ, რომ: ა) ზემოდ ხსენებულ კომიტეტს არავითარი უფლებები არა აქვს თავისი თავი აღიაროს „სამხედრო სასულიერო, დაწესებულებათა და სასულიერო სასწავლებელთა აღმასრულებელ კომიტეტად, იმიტომ, რომ ამ კომიტეტში წარმოდგენილია არა მთელი საექსარხოსო, არამედ მთელი თბილისი, და არა მარტო მთელი თბილისი, ვინაიდან თბილისში არაა მთელი სამხედრო სამღვდელოება, სღმრთო სჯულის მასწავლებელნი, საეკლესიო დაწესებულებანი და ყველა სასულიერო დაწესებულებანი შესდგებიან მხოლოდ და მხოლოდ რუსებისგან,—მათში მრავლიდან მრავალსა ვნახავთ ქართველებს, რომელთაც არავითარი საერთო რამ არა აქვსთ ამ კომიტეტთან; ბ) „კომიტეტის“ მოთხოვნილება, რომ ამიერ კავკასიაში რუსის საექსარხოსო დაარსებულ იქმნეს, რომლის მრევლნი ქართულ საკათალიკოსოდანაც იქმნებიან, ეს დადგენილება ეწინააღმდეგება აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიის ძირითად პრინც პებს (იხ. 2 დადგენილება მეორე მსოფლიო კრებისა და სხვ.). მეორეს მხრით, იგი არ ეთანხმება რუსის ეკლესიის ერთობის შემეცნებას, ვინაიდან „ექსარხოსი“ ჰგულისხმობს ურთიერთს ურთიერთობას ორს ავტოკეფალურს ეკლესიის შუა, მაშასადამე, გაუგებარია, რანაირად შეიძლება ერთად-ერთს რუსის ეკლესიაში ვიგულისხმოთ „რუსის საექსარხოსო“. სჩანს, არამკითხე „კომიტეტი“ ჯერაც არ განთავისუფლებულა ანტიკანონიურს ცნებისაგან და ძველი რეჟიმის შეხედულებისგან, რაიც მარადისობას ჩაჰბარდა უკვე.

**ქართველ მორწმუნეთა ჯგუფი.**

## მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების წარ. ყრილობა
(დეპ. პეტ. ს.)

**პეტროგრადი.** სახელმწიფო სასათბიროს საზოგადო კრების დარბაზში 29 მარტს მოხდა კრება მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების წარმომადგენლებისა. [illegible] წარმომადგენლები [illegible] ქალაქისა. კრებაზე მოვიდნენ სხვა და სხვა არმიის აღმასრულებელ კომიტეტთა კაზაკთა ჯარის წარმომადგენელნი.

ნ. ს. ჩხეიძე თავმჯდომარედ აირჩიეს. იგი კრებას მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სახელით მიესალმა და განაცხადა: „ჩვენ ეხლა სარევოლიუციო ბრძოლის ხანაში ვიმყოფებით, რომელიც მსოფლიო ომის დროს წარმოიშო. დადგა დრო, როდესაც ერებმა უნდა გადასწყვიტონ ომის საკითხი. ჩვენ შეგვიძლიან განვაცხადოთ, რომ მათთან ერთად მივდივართ, ვინც გადაჭრით მოითხოვს, რათა ყველა მთავრობამ დაუყოვნებლივ ხელი აიღონ დაპყრობითს მისწრაფებაზე. ამისათვის ყველა მეომარ სახელმწიფოთა მთავრობა დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს თავის ხელშეკრულებათა გადასინჯვას. ჩვენი მუშაობაც აქეთ უნდა იყოს მიმართული. ეს ნაბიჯი ომის ლიკვიდაციამდე მიგვიყვანს. საშინაო ცხოვრებაში ჩვენ ხელიხელ ჩაბმულნი ვივლით მათთან ერთად, ვინც რევოლიუციის მიერ მიზნად დასახულ საქმის დაბოლოებას ემსახურება.

მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების მომავალი ცენტრი უნდა იყოს ღედაგული, რომელმაც უნდა შემოიკრიბოს ყველა ელემენტები, რათა ეჭიდროდ დარაზმულნი ვიდოდეთ რევოლიუციის მიზნის დასამთავრებლად. (ტაში).

ჩხეიძემ დარბაზი დასტოვა და თავის შვილის დასაფლავებაზე დასასწრებლად გაემართა. კრებამ ფეხზე ადგომით და მდუმარეთ გააცილა თავისი თავმჯდომარე.

კრება გაგრძელდა მ. ი. სკობელევის თავმჯდომარეობით. კრებაზე მოვიდა ვერა ზასულიჩი, რომელსაც ძლიერი ტაშის ცემით შეხვდნენ.

მუშათა და ჯარის კაცთა პეტროგრადის საბჭოს სახელით კაკი წერეთელმა შემდეგი რეზოლუცია წარუდგინა კრებას: 14 მარტს მუშათა და ჯარისკაცთა მიმართვამ მთელი ქვეყნის ერებისადმი დაადასტურა რუსეთის დემოკრატიის მტკიცე გადაწყვეტილება საგარეო პოლიტიკაშიაც ისეთსავე საფუძველს დაემყაროს თავისუფლებისა და უფლებრივობის განმტკიცებაში, როგორიც რუსეთის საშინაო ცხოვრებაში გამოცხადდა. მთელს რუსეთში მუშათა და ჯარის კაც-მოქალაქეთა მრავალრიცხოვანმა კრებებმა დაადასტურეს ეს გადაწყვეტილება და გამოსთქვეს ხალხის სურვილი, რომ თავისი თავისუფლების გამოსარჩლების დროს ნებას არავის მისცემს სარევოლიუციოდ აღფრთოვანებული ხალხი გამოიყენოს სხვა ერების დასაჩაგრავად.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ აცნობა დროებითს მთავრობას, რომ თავისუფალმა რუსეთმა ხელი უნდა აიღოს ცარიზმის დაპყრობითს გეგმის წარმოებაზე. დროებითმა მთავრობამ 24 მარტს რუსეთის მოქალაქეთა მიმართ მოწოდება გამოსცა, რომელშიაც განაცხადა: თავისუფალ რუსეთის მიზანია არა სხვა ერებზე გაბატონება, არამედ მტკიცე ზავის დამყარება ერთა ვნებათა თვითგამორკვევის საფუძველზე. რუსეთის ხალხი საგარეო სიძლიერეს არ ესწრაფვის სხვა ერების ხარჯით; იგი მიზნად არ ისახავს არც ჩაგვრას, არც განადგურებას. დროებითი მთავრობის ამ აქტს რუსეთის დემოკრატია უდიდეს მნიშვნელობას აძლევს, მასში ჰხედავს მნიშვნელოვან ნაბიჯს სამოქმედო ეგებება დროებითი მთავრობის ნაბიჯს დემოკრატიულ პრინციპთა განმტკიცების საქმეში და მთელის ძალღონით მხარს დაუჭერს დროებითს მთავრობას ამ საქმეში; იგი მოუწოდებს მოკავშირე და რუსეთთან მეომარ სახელმწიფოებს თავთავიანთ მთავრობაზე გავლენა მოახდინონ და ხელი აიღებინონ დაპყრობითი გეგმებზე. ამასთანავე ორივე მებრძოლ სახელმწიფოთა კოალიციამ უნდა მოითხოვოს, რომ ამ მთავრობამ თავის მოკავშირეებს უარი უთხრეს ნონ დაპყრობითის მისწრაფებაზე და კონტრიბუციაზე. თავისი მხრივ საბჭოები აღასტურებენ საჭიროებას, რომ დროებითმა მთავრობამ მოკავშირეებს მოელაპარაკოს ზემოაღნიშნულ საგანზე საერთო შეთანხმებისათვის.

რუსეთის რევოლიუციონური ხალხი მეცადინეობას არ მოაკლებს ძმობისა და ეროვნებათა თანასწორ თავისუფლების საფუძველზე დამყარებულ ზავის მოსაახლოვებლად. ომის შესაჩერებლად ძლიერი იარაღი იქნება თუ ყველა მთავრობანი ოფიციალურ უარს იტყვიან დაპყრობითს მიზნებზე. სანამ ეს პირობები არ განხორციელდება, სანამ ომი გრძელდება—რუსეთის დემოკრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტია აღიარებს, რომ ბრძოლის ბაზის შემუსვრა მისი სიმკვიდრის შესუსტება და დაუძლურება უდიდესი მარცხი იქნება თავისუფლების საქმისათვის. რევოლიუციონურ რუსეთის თავგამოდებულ გამოსარჩლებისათვის გარეშე ძალმომრეობისაგან და რევოლიუციის განვითარების შესაფერხებლად მიმართულ მოქმედების ასალაგმად მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები მოუწოდებენ რუსეთის მთელს დემოკრატიას, რათა ყოველ დარგში გაამაგრონ და განამტკიცონ ბრძოლის ველი და ზურგის მხარე.

ამას გარდუვალად ნოითხოვს რუსეთის დღევანდელი ვითარება. ეს საჭიროა რუსეთის დიად რევოლიუციის გასამარჯვებლად. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების თათბირი მოუწოდებს ყველა ქარხანა-სამრეწველოების, რკინის გზების, მაღაროების, ფოსტა-ტელეგრაფის და სხვა დაწესებულებათა მუშებს, ჯარისა თუ ზურგის მხარეს მომუშავეთ, მუშაობა განაგრძონ მეტის გულმოდგინეობით და თავგადადებით. ეკონომიური გამარჯვება მუშათა კლასისა და სხვა რეფორმათა მოხდენის მისწრაფებანი არ უნდა ასუსტებდეს მის შრომის უნარს, არამედ მათი მწარმოებლების უნარი უმაღლესად უნდა განავითარონ, რათა უზრუნველ ჰყონ ჯარი და ხალხი ყოველ აუცილებელ საგნებით. მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს თათბირი, მოქალაქეთა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობასა და ტრანსპორტებში მომუშავეთა საგულისხმოდ აცხადებს, რომ უსურსათობა, რაიც ძველი რეჟიმისგან მემკვიდრეობათ გადმოგვეცა, დიდს საფრთხეს წარმოადგენს და მის მოსაწესრიგებლად მთელი ძალღონე უნდა მოვიკრიბოთ. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების თათბირი სალამს უძღვნის ჯარისკაცებს და აფიცრებს რევოლიუციურ ჯარისას, რომელიც რუსეთის თავისუფლებას დარაჯად უდგას შინ თუ ბრძოლის ველზე.

## პოლკოვნიკ ზდანოვსკის წერილის გამო

იმ ქვეყანაში, სადაც პიროვნების ხელშეუხებლობა დაცული არ არის, პატიოსან ადამიანს არ ეცხოვრება. ამიტომ იყო, რომ დღევანდელმა ახალმა მთავრობამ უპირველესად ყოვლისა პიროვნების ხელშეუხებლობა აღიარა. არავის აქვს ნება დაიჭიროს, დაატუსაღოს და მოუსპოს ადამიანს თავისუფლება, თუ რომ ჯეროვანი უფლებით არ არის აღჭურვილი და ხელთ არა აქვს ჯეროვანივე საბრალდებულო საბუთები: რისთვის, რა ძალით და უფლებით უსპობს თავისუფლებას.

ახალ ადგილობრივის მთავრობის მიერ პოლიცმეისტრად ნამყოფ ზდანოვსკის დატუსაღებამ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საზოგადოებაში, და თუ აქამდინ ყველა გაჩუმებული იყო, იმიტომ, რომ სვინიდისს იმშვიდებდა—ალბათ, რამე მძიმე დანაშაულობა ედებოდა მას კისრათ, თორემ ისე უბრალოდ ხელს ვერვინ შეახებდაო, ვერ იკისრებდა ხელის შეხებას, რადგან ბ. ზდანოვსკის ყველა იცნობდა, როგორც დაუღალავ მშრომელს კაცს, მოუსყიდავ და ენერგიულ ადამიანს. გუშინ ბ. ზდანოვსკის გამოქვეყნებული წერილი (იხ. „Закав. Рѣчь" № 73) აღმაშფოთებელ და შეუწყნარებელ ამბავს მოგვითხრობს: 8 მარტს დამატუსაღეს და აქამდინ არ ვიცი და ვერ მიმხვდარვარ, რა ბრალსა მდებენ. ეს არ მაკმარეს. ჩემი ცოლშვილი და მოხუცებული დედაც შეიპყრეს და უჭმელ-უსმელი ჰყავდათ. მე არ გთხოვთ,—სწერს იგი კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარეს ბ. ხარლამოვსა:—არც შებრალებას, არც მოწყალებას და არც პატიებას, რადგან წმინდაა ჩემი სინდისი, მე ვითხოვ სამართლიანობას, რომელიც ახალ მთავრობამ ყველასათვის აღიარა". როგორ? ორი კვირა საპყრობილეში იტანჯებოდეს ადამიანი და არ იცოდეს რისთვის! რა მიზეზით სტანჯავენ მას, მის ცოლ-შვილს და მოხუცებულ დედას?—ეს შეუწყნარებელია! საზოგადოება უნდა დარწმუნდეს, რომ აღმასრულებელ კომიტეტს კარგათ ესმის ის თავისუფლება, რომელიც მთავრობამ აღიარა, და რომ იგი ბოროტად არ გამოიყენებს საზოგადოების მიერ მინიჭებულ უფლებებს. ვინ მოუსპო ბ. ზდანოვსკის თავისუფლება? ვის წინადადებით ან ვისი დასმენით? რა ბრალსა სდებენ მას და რა საბუთებით? რა აუცილებელი საჭიროება მოითხოვდა გადამდგარ მოხელის შეპყრობას, როდესაც მისი უფროსები ჯერ კიდევ თავის ალაგებზე იხდნენ?

ყველა ამ კითხვებზე საზოგადოება პასუხს ითხოვს აღმასრულებელ კომიტეტისგან. მით უფრო საჭიროა საზოგადოების დამშვიდება, რომ ბ. ზდანოვსკის შეპყრობის შემდეგ ბევრი ჭორები გავრცელდა. ვერ წარმოუდგენიათ, რომ იმის დატუსაღება პირადის შურისძიებით არ იყოს გამოწვეული. არავისა სჯერა, რომ მისი დატუსაღება მის მიერ აღმოჩენილ ბოროტმოქმედებასთან არ იქმნას დაკავშირებული; ვერ მოუნელებიათ, რომ ზდანოვსკი დატუსაღებული იყოს და მილოვადელხანოვი თავისუფლათ დასეირნობდნენ; ვერ წარმოუდგენიათ, რომ რუსის სალდათი დაატუსაღებდა იმ კაცს, რომელმაც მიაგნო და ხელი დაადო ქურდებს, ერთი მილიონი არშინი მაუდი რომ მოჰპარეს იმ ჯარისკაცებს, რომელთა თავგანწირულ ბრძოლამ თავისუფლება მოგვიტანა.

დაამშვიდეთ საზოგადოება და გაუფანტეთ ყოველი ეჭვები.

ე. დი—ძე.

## ხმა სოფლიდან

„საქართველო"-ში სწერია: კომისარიატი და თვით დამფუძნებელი კრებაც რას მოგვცემს, თუ თვით ხალხმა არ მოითხოვა ავტონომიაო და სხვ.

წერილის ავტორიც გვირჩევს შესაფერი პროპაგანდის გაჩაღებას და ხალხის გათვითცნობიერებას,—სრული ჭეშმარიტებაა. არაფერის თქმა არ შეიძლება ამის საწინააღმდეგოთ. სწორეთ რომ ხალხმა, ჩვენმა ტანჯულმა და ყოველმხრივ დაჩაგრულმა ხალხმა უნდა მოითხოვოს ის, რაც მას ქონებრივათ და გონებრივათ წინ წასწევს, უფლებრივათ ხელმწიფე ერს გაუთანასწორებს და არ დასჯერდეს მარტოოდენ სადეკლარაციო განცხადებას ახალ მთავრობისას: ეროვნებათა გათანასწორებაო და სხვ.

კარგი რამ არის ეს გათანასწორება, მაგრამ ამას თან უნდა ახლდეს ის უფლებრივი გარანტია, ურომლისოდაც თანასწორობა ცარიელ სიტყვად რჩება. ჩვენში კი, ქალაქსა და სოფელში, სურათი მეტის-მეტად გულის მომკვლელი და ვიტყვით ბარემ, პირდაპირ შემზარავია. მართალია, ხალხი ერთგვარის უნდობლობით უცქერის იმ ნოქრებს და მათ მსგავსთ, 1905 წელს რომ ახალთაობის მოციქულებათ მოევლინენ ჩვენს ქალაქ-სოფლებს და ხალხს მოძღვრავდნენ, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ამ უნდობლობის გამოცხადების ვერავინ ბედავს და ბრბო, უმეცარი და გაუნათლებელი ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა პირდაპირ ამ ვაჟბატონების საწველ ფურად და ცხვრის ფარად ქცეულა! დიდი ტაქტი უნდა ჰქონდეს ადამიანს, იშვიათის ნდობით უნდა იყოს აღჭურვილი თვით ამ ბრბოს მიერ, რომ მის წინაშე გამოხვიდეთ, სიტყვა ავტონომია ახსენოთ და შეურაცხყოფილი არ წახვიდეთ.—ჩვენებური დასელების წყალობით, მათი მეთაურების ლოცვა-კურთხევით ზოგიერთ ალაგას ავტონომია ხალხის თვალში საშინელებათაა გადაქცეული! მათი შთაგონებით ავტონომია ნიშნავს ბატონყმობას, რუსეთისაგან გამოცალკევებას, თავად-აზნაურობის და ხუცების ბატონობას და სხვა ასეთ საშინელებათ!.. გადამეტებული და გადაჭარბებული არ გეგონოთ, ეს პირდაპირ ასე აქვს ხალხს განმარტებული ჩვენი დასელების პირით. ბრბოს ხიბლავს აგრეთვე სახელწოდება „მუშათა პარტია" და გარჩევა აღარ არის! ნიკოლოზის დროს ავტონომიის ხსენება და პრესაში მისი პროპაგანდა აკრძალული არ იყო, ახლა კი ამ სიტყვის ხსენებისათვის წასისინებული და გალიზიანებული ჯარისკაცები პირდაპირ ტყვევებენ ან მეჯლაუნებით უმასპინძლდებიან პარტიის მოციქულებს, ჩვენს მომხრეებს. —ჩვენ რომ ავტონომია მოვითხოვოთ და მივიღოთ, რუსეთი პურს აღარ მოგვცემს და შიმშილით ამოგვწყვეტიათო,—ამისთანა პოლიტიკო-ეკონომიური მეცნიერებით აღჭურვილი კაცები ჰყავს დაგზავნილი სოფელ-ქალაქად დასელთა კომიტეტს, აძლევენ მათ შესაფერ ჯილდოს და ესენიც ერთგულად მუშაობენ ჩვენი ქვეყნის სიუბედუროდ, საუკუნოთ და უფსკრულში გადასაჩეხავად!—რუსეთის ძველი წყობილების დამხობა და ახალის დამყარება მწამდა, მაგრამ მე თვით თუ მოვესწრებოდი, კინაღამ არ მეგონა; მაგრამ იმას კი ვეღარ წარმოვიდგენდი, რომ საქართველოს ამ 120 წლის განმავლობაში ერთხელ გაუთენდებოდა ბრწყინვალე დღე და იმასაც ჩაამწარებდნენ მისივე „შვილები".

დ. ო—ძე.

## დაბა-სოფლები

**საინგილო.** 25 მარტს არაჩვეულებრივი ბრწყინვალე დღე იყო მთელს საინგილოს მიძინებულს ცხოვრებაში. მეტად გვიან მოვიდა თავისუფლების ამბავი ამ მივარდნილს ქვეყანაში და ვერც გაიგო და ვერ მიხვდა ხალხი თავისუფლების მნიშვნელობას. ზოგს ასე ეგონა, ეხლა ყველაფრის თავისუფლებააო და ჰკა ვისაც გინდა და რაც გინდა წაართვიო, აი ამ ნიადაგზედ გაცარცვეს ს. კაკის სასოფლო ქსენონი და წაიღეს, რაც კი რამ ებადა საავადმყოფოს. ზოგი კიდევ თავისუფლებას იმაში ჰხედავდა, რომ აღარც ერთი მოსამსახურე არ უნდა იყვესო და ჰკა მაგათა და გარეკეთ აქედანაო. კაცმა მართალი უნდა სთქვას, ვერც გაამტყუნებს კაცი ამაში ხალხსა, არც რთხელ არავინ არ მოსულა ხალხთან და არ აუხსნია და უთქვამს თავისუფლების მიზანი და დანიშნულობა. წარსულს 1905 წ. მოძრაობის ნასახი, ხომ არც კი ყოფილა აქა და ამიტომ ხალხი სრულს გაუგებრობაში იყო და ვერ შეეგნო ამ დიადი მოვლენის მნიშვნელობა. ამიტომ ინტელიგენციამ გადასწყვიტა გაემართა მანიფესტაცია-მიტინგი, რომელზედაც ხალხისთვის უნდა აეხსნათ და განემარტათ თავისუფლების მნიშვნელობა და მისი მოსალოდნელი შედეგები. 25 მარტი მართლაც წარუშლელი იქნება საინგილოს ცხოვრებაში. ამ დღეს წირვის გამოსვლის შემდეგ აყარებელი ხალხის თანადასწრებით წითელის ბაირაღებით ხალხი ბაზრისაკენ გაემართა. მეტად საყურადღებო იყო ზოგი ბაირაღების წარწერა, მაგალითად: გაუმარჯოს ერთობას და პატარა საინგილოს, გაუმარჯოს ქალთა თავისუფლებას. მარსელიოზის სიმღერით გამგზავრებულს ხალხს, ბაზარში ელოდა აყარებელი სომხობა და თათრობა. აქ წინ და წინ მომზადებულს ამაღლებულს ადგილზედ რიგ რიგობით უმარტავდნენ ორატორები ხალხს თავისუფლების მნიშვნელობას, ყველანი თავ თავის ენაზედ, ქართულზედ, სომხურზედ, თათრულზედ და ლეკურზედ, მეტად ერთსულოვნობა დ აღფრთოვანება იყო, ყველა ორატორი მოუწოდებდა ყველას თავისუფლების გამოცხადებასთან ერთად, წარსულ ეროვნულ ქიშპობისა და მტრობის დავიწყებას და ერთად მოქმედებას და ძმობა ერთობას. ჩვენ ყველანი დღეის უკან ერთნი ვართ, ძმანი, მეგობარნი ყველანი თანასწორნი, გაათავა თავის სიტყვა ერთმა გამოჩენილმა მოლათაგანმა და ყველა ეროვნებათა წარმომადგენელნი ძმურად იქვე გადაჰკოცნა. შემდეგ ერთმა გაიხსენა ჩნელით მოცული საინგილოს წარსული და სთქვა: ამ ბნელშიც იყვნენ მაინც მებრძოლნი თავისუფლებისათვისო და კერძოთ საინგილომ მსხვერპლად შესწირა მას თავისი პირმშო შვილი კონსტანტინე ბაირამაშვილი, რომელიც 1905 წლის მოძრაობის დროს ვერაგულად იქმნა მოკლული კუსაში, როდესაც სხვა ტუსადებთან ერთად იცავდა თავისუფლებასო და მოეწადა მერმე ეკლესიისაკენ გამგზავრება და იქ მის სულის მოსახსენებლად პანაშვიდის გადახდა. ხალხი ერთხმივ ეკლესიისაკენ გაემგზავრა და მისვლისათანავე ეკლესიის კარებს ჩამოჰგლიჯა თუნუქის წარწერა, რომელზედაც ეწერა: „მათი იმპერატორებითის ხელმწიფის დაქორწინების აღსანიშნავად არის აშენებული ეს ეკლესიაო". შემდეგ გადახდილი იყო პანაშვიდი და მოუწოდეს ხალხს, რომ თავისუფლების სამსხვერპლოზედ შეწირულის ბაირამაშვილის ხსოვნის აღსანიშნავად დაეარსებინათ სკოლა მის სახელობისა. მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა აქ ერთმა თათარმა—ჩვენ თათრებს, სომხებს და სხვათა თავის საკუთარი ეროვნული სკოლები გვქონდაო, რომლებშიაც ასე თუ ისე ჩვენი ენები ისწავლებოდა და ეროვნული სული ტრიალებდა მათშიო, ქართველი ერი დიდს გამონაკლის შეადგენდა ამაშიო, მას სრულიად კარი ჰქონდა ეროვნული სკოლისაკენ დახშული და დღეს დადგა მისთვის ის დრო, რომ მანაც ამგვარი სკოლა დაიარსოსო და ყველანი, განურჩევლად ეროვნებისა, უნდა დავეხმაროთ მათ ამაშიო. იქვე გაიმართა ხელის მოწერა და 285 მანეთი შეიკრიბა, რაიც კარგა თანხას შეადგენს საქმის დაწყებისათვის. შემდეგ ხალხი დიდათ ნასიამოვნები და გახარებული დაიშალა.

ზ. ედილი.

—

**ქ. დუშეთი.** დუშეთის თვითმართველობის და დროებით აღმასრულებელ კომიტეტის წევრთა კრება შესდგა 21 მარტს თვითმართველობის დარბაზში. კრება გახსნა 8 ს. ქალაქის მოურავმა ბ. ყარანგოზიშვილმა. განსახილველი იყო, სხვა საკითხებთან ერთად, მცხოვრებთა მიერ პროტესტის განცხადება სანოვაგის გაძვირებაზედ და საერთოდ ვაჭრების თავგასულობაზედ.

კომიტეტმა შემდეგი დაადგინა: იქონიონ ყველა საჭირო საქონელზედ ნიხრი. ხორცი გაიყიდოს: ძროხისა გირვანქა 35 კაპ., ცხვრისა 40—45 კ. ლორი ღორისა ბარკალი გირვანქა 90 კ., ბეჭი 80 კ., გვერდები 70 კაპ. ღვინო $^1/_{16}$ ბოთლი ვედრისა 50 კაპ., $^1/_{12}$ ბოთ. ვედ. კარგის ღირსებისა 60 კ., ხოლო დაბალი ხარისხის ღვინო 10 კ. ნაკლები.

ფართლეულობის გადასაშინჯველად და ფასების დასადებად კომისია იქმნა არჩეული სამ კაცისაგან. სიმინდი ფუთი 2 მ. 50 კ.

კრებამვე დაადგინა ეხლავ ეცადნენ ქუჩების მოკირწყვლისა და განათებისათვის. ეხლავე ეთხოვოს, სადაც ჯერ არს, არსებულ ორ კლასიან სკოლის გადაკეთება ოთხკლასიანად; იქონიოს ქალაქმა აფთიაქი ავადმყოფთა საწოლებით; აღდგენილ იქმნას ტელეფონები სოფლად, სადაც მოსპობილია ან გაფუჭებული.

ვეფხვი.

—

**ს. გურჯაანი.** მარტის 19-ს ს. გურჯაანში შესდგა გურჯაანის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის წლიური კრება, რომელსაც ჰქონდა განსახილველი: წარსული წლის ანგარიში; მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა; არჩევნები ერთ-ერთი გამგეობის წევრისა, რომელიც, თანახმად არსებულ წესდებისა, უნდა გამოსულიყო სამსახურიდან და საბჭოს თავმჯდომარისა, რომელსაც სამსახურის ვადა გაუთავდა, და მამულის შეძენა საკუთარი საწყობების ასაშენებლად. ვიდრე კრება გაიხსნებოდა, წვრილი კრედიტის ინსპექტორმა ვიფორსმა მიულოცა საზოგადოებას თავისუფლების მოპოვება, მოკლედ განუმარტა ამხანაგობის სწრაფი განვითარება დაარსების დღიდან ხუთი წლის განმავლობაში და დასასრულ, დასძინა, რომ ამიერიდან ახლად დამყარებულ წესწყობილების ხანაში იგი უფრო განვითარდება და გარდაიქცევა იმ დაწესებულებად, რომელმაც სავსებით უნდა დააკმაყოფილოს წევრთა ეკონომიური და კულტურული მოთხოვნილებანი. შემდეგ კრება შეუდგა ანგარიშის განხილვას.

ანგარიში კრებამ დაამტკიცა. მხოლოდ წმინდა მოგებიდგან 6325 მან. გადასდო კავკასიის ბანკისთვის ხორბლის ოპერაციებისაგან გამოწვეულ ხარჯის დასაფარავად. დანარჩენი თოგება 11843 მან. 93 კაპ. გაანაწილა ამნაირად: ძირითად თანხას 4400 მან. სათადარიგოს 1100 მ., დროებითი მთავრობის განკარგულებაში ომის საჭიროებისათვის 1000 მან., ქ. შ. წ. კ. საზ. სიღნაღის განყოფილებას 200 მ. ქართულ საქველმოქმედო საზ. სიღნაღის განყოფ. 100 მან., ახტალის სამრეწველო სკოლას 300 მან., კახეთის რკინის გზის საზოგ. გურჯაანში თეატრის ასაშენებლად 100 მან., გურჯაანის სამკითხველოს 250 მ., სახელმწიფო ბანკთან არსებულ კომიტეტს მეომართა ოჯახობათათვის 300 მან., გურჯაანის შევიწროებულ მეომართა ცოლშვილის სასარგებლოდ 500 მან., ს. ვეჯინის სამრეწველო სკოლას 100 მ., მოსამსახურეთა საჩუქრებად 770 მან. საშუამავლო ოპერაციების წარმოებისათვის 650 მან., საკუთარ შენობის ასაგებად 1012 მან. 5 კაპ., „სახალხო გაზეთის" და „საქართველოს" რედაქციებს ეროვნულ ორგანიზაციების მოსაწყობად 186 მ. 88 კ., ამხანაგობის წევრთა შორის გასანაწილებლად 675 მან. ხარჯთ აღრიცხვის დროს კრებამ გაუდიდა ჯამაგირეები:

გამგეობის თავმჯდომარეს თვეში 150 მან. გამგეობის თითო წევრს 120 მან. მოანგარიშეს (ბუღალტერს) 150 დანარჩენ მოსამსახურეთ თვიურად 275 მან. მოსამსახურეთ შორის ფულის განაწილება მიენდო გამგეობას. არჩევნების დროს არჩეულნი იქმნენ თავის თანამდებობაზედ ისევ უწინდელი პირები: გამგეობის წევრად მღ. გერასიმე ჭანტურიძე და საბჭოს თავმჯდომარედ ნ. იაშვილი.

დასასრულ, კრებამ სთხოვა წვრილი კრედიტის ინსპექტორს გადიდებულ იქმნას თვითეულ წევრის ნდობა 500 მანეთამდე და მოკლე ვადიანი სესხი სახელმწიფო ბანკისაგან 100,000 მანეთამდის რაიც აღუთქვა ინსპექტორმა ვიფორსმა.

გამგეობის თავმჯდომარე მღ. გ. ციბალაშვილი. წევრნი: ივ. ვაჩნაძე, მღ. გ. ჭანტურიძე, კ. ჯანაშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი
ხარლამ შანშიაშვილი


„საქართველოს" კონტორა აცხადებს, რომ იმ წლიურ ხელის მომწერთ, ვინც 5 აპრილამდე არ შემოიტანს ხვედრ ფულს, გაზეთის გზავნა მოესპობათ

ახალი საკრებულო
(ყოფილი ხარფუხის კლუბი) მიხეილის პროსპექტი № 163.
ორშაბათს, 3 აპრილს,
გართობა არ იქნება
სამშაბათს, 4 აპრილს,
ოპერეტა რუსულ ენაზედ
ბ. ბაუშევის ხელმძღვანელობით.
სიმებიანი ორკესტრი
ოთხშაბათს, 5 აპრილს,
ქართული წარმოდგენა
„საღამოს ერთი ცხვირიც ხეირია". მონაწილეობას მიიღებს დრამ. დასი.
სიმებიანი ორკესტრი
(1—635—1)

მიიღეთ ფრანგულ აბრეშუმის ჭიის თესლი ცნობილ ფირმებისა
პერტესი
და
ჩვენ მიერ საკუთრად შეკვეთილი ოთხკუთხიან კოლოფებში.
კოლოფებზე გამოხატულია სამფეროვანი ფრანგული ბაირაღი და შავი არწივი ყვითელ ფონზე. მიმართეთ: ტ. ხ. მირზაიანცს, თბილისი, განოვის ქ. № 8.
ტელეფონი 13—58. ტელეგრამით ტიგრან მირზაიანცს, თბილისში.
(10—576—3)

თევზის მრეწველნი
ძმ. ძებველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და საფაბრიკო სახლ. „დ. მაილოვის-ზვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მუშოჩნი" ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება

ექიმი კბილისა
ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ჩერქეზიშვილის და რეუტოვის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი
ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).
მოხუცების ხანაზინთ საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.
ერლიხის „914" და „606"
შეშხაპუნება

ექიმი
მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიენდის ქუჩა, № 19.

ექიმი
ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.
ტელეფონი № 11—82.

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმბა
ბ. მ. მუხაძე
იღებს სალოხტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
მ. ი. მაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბოდბის ქუჩ. № 4. (თ.—202—)

გოლოვინის პრ. და ხაზნეგრის ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის აზმაიფაშოვისა

ექიმი
მ. ფ. მგალობლიშვილი
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.
მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 8.